ახალი
# საქართველო

წელიწადი პირველი — ოთხშაბათი, 9 ივლისი 1919 წ. № 4 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებ. 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:— თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი სიმონის ძე და შვილები პლატონ და აკაკი ლექავეები, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი სიძისა და ბიძის.

ტარასი ფილიპეს ძე
მაჭავარიანის
გარდაცვალებას.

გამოასვენებენ რკინის გზის საავადმყოფოს ეკლესიიდან სადგურზე. დღეს საღამოს 6 ნახ. საათზე და წაასვენებენ დ. ხარაგოულში. დასაფლავება კვირას, 13 მკათათვეს ს. საქარიქედში. 1—1

გ. ლეონიძე — წიგნი I.

1. „კვირეები". 2. „ცივი ნაგრუზი".
3. „ყაზახები". 4. „საქართველო".

წიგნი მკათათვის ნახევრებში გამოვა.

ქართული კლუბი
ორშაბათს, 9 მკათათვეს 1919 წ.
კონცერტი
მონაწილენი: ქ-ნნი გაბაშიძე, ზელიონი, ფავლენიშვილი-მალლაშვილისა, შულგინა, ფირმოვისა და ბ-ნნი ნიკოლსკი, პოლიაევი, როგაჩევსკი, თარხნიშვილი, ჭუმბურიძე და სხვ.
დასაწყისი საღამოს 9 საათ. — შ. სვლა 2 მან. 10 მან.

დიტრიხის
თავლა-ლუდის მხდელი საზ-ბა. გ. ვეტცელი ძმებით და ამხ. (ყოფილი დიტრიხის ქარხანა) დიდუბის ქ. № 2, ტელეფონი 780.
შავი ხავერდოვანი ლუდი ფასი ბოთლისა ადგილობრივ—13 მ., მიტანით 13 მ. 50 კ.
ლუდი-ექსპორტი (ღია ფერის) ადგილზე—11 მ., მიტანით—11 მ. 50
ლუდი ბოჭკობით—ვედრო—190 მ., ვედრო გადატანით—200 მ.
1—2509—1

საუკეთესო ღირსების ლუდი
ლუდი — „თბილისის ლუდის გამომხედელი ს-ბა"
იყიდება ლუდი
ინგლისურ საუკეთესო მასალისგან
დამზადებული ნოე სიხარულიძის ახალ ქარხნებში (ყოფ. ვეტცელის) დიდი მთავრის ქ. № 68. ტელეფონი № 9—47 — ლუდი
2—2560—1

დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა
მიწის საკითხი საქართველოში
ალ. ასათიანისა
შ. 1. მიწად მფლობელობის ფორმები; 2. მიწად მფლობ. საზოგადო და კერძო საკუთარებითი; 3. სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა; 4. მიწად-მფლ. მასალები, სახაზინო, საუფლისწ. და ხიზნების მფლობელობა; 5. კერძო მიწად მფლობელობა; 6. კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი; 7. მეურნეობის პირობები; 8. სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა; 9; მეურნეობის დიფერენციაცია; 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11. რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა; 12. ბოლოსიტყვაობა. წიგნის მიღება შეიძლება გაზეთ „საქართველოს" კანტორაში და ყველა წიგნის მაღაზიებში. 10—უ—3

ქ. ქუთაისში
ქირავდება სახლი, რომელშიაც იმყოფება სასტუმრო „გრანდ იტელი". საჭირო პირობების გაგება შეიძლება ქ. ხონში დიმიტრი ივანეს ძე ჩხიკვიშვილთან. 2—2500—2

თბილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,
რომ სამშაბათს მკათათვის 15-ს გაიმართება
საჯაროდ ვაჭრობა
მაღაზიის ქირით გაცემაზე (ერევნის მოედანზე). ვაჭრობა 12-ს საათზე დაიწყება. ყოველგვარი ცნობები მიიღება მე 4-ე საიჯარო განყოფილებაში თბ. თვითმართველობაში.
(3—133—1)

იყიდება
სახლები ძმ. ლომაძეებისა ქ. ქუთაისში,
ორპირის ქუჩაზე, № 54, სხვა და სხვა შენობებით, 1000 ოთხ-კუთხი საქნამდეზოთი. ფასის გაგება შეიძლება: თბილისში, მუხრანის ქ. № 4 გიორგი ლომაძესთან. 1—2505—1

წევრთა საყურადღებოთ!
კოოპერატივ „დახმარებამ" მიიღო სიმინდი და სიმინდის ფქვილი. წევრებთ შეუძლიანთ შეიძინონ კოოპერატივის ორთავ მაღაზიაში.

## უკანასკნელი ცნობები

ფიუმეში იტალიელებსა და ფრანგებს შორის შეტაკება მოხდა.

დენიკინის წარმომადგენელნი: პარიზში დრაგომიროვი არ. ასტროვი, პანინა, სოკოლოვი და სხვ.

ჰინდენბურგმა მთავრობას განუცხადა, რომ 1916 წლის აგვისტოდან, ვილჰელმის ყველა მოქმედების პასუხის მგებელი მე ვარო.

ფლორენციაში საერთო გაფიცვებია.

დიუსელდორფში აჯანყება დაიწყო.

იაკობშტატის მუშები გაიფიცნენ, ფინეთის მთავრობამ მუშები დაითხოვა.

ადვოკატური ისტორიის ავტორმა, ცნობილმა მასწავლებელმა ადოლფ ვეისნერმა თავი მოიკლა, რადგან გერმანიის დამარცხება და დამცირება ვერ აიტანა.

საბჭოთა ჯარმა სამხრეთით სუხარევკა, ზამზულისო და გრანომელი აიღო, აღმოსავლეთით კი უფა დაიჭირა.

## ბრიტანეთის მთავრობის ულტიმატუმის გამო

ამ ერთი კვირის წინად საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობამ ულტიმატური ხასიათის ნოტები მიიღეს ბრიტანეთის მთავრობისაგან, იმ ხაზის ქვემოდ დასაწევად, რომელიც სრულებით განუკითხავად გაიყვანა ბრიტანეთის მთავრობამ სადემარკაციოთ, მოხალისეთა არმიასა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის.

ბრიტანეთის მთავრობის მიერ დადებული ხაზი, პირდაპირი შელახვა იყო ჩვენი ტერიტორიალური უფლებებისა და სავსებით მიმართული ჩვენს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, რაც საშუალებას მისცემდა მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელთ განეგრძოთ თავისი შემდეგი მოქმედება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობამ, ამ ნოტების მიღებისთანავე, ინგლისის მთავრობას მოსთხოვა გარანტია, რომელიც უზრუნველყოფდა ბრიტანეთის მთავრობის მიერ მოხაზულ საზღვრებს მაინც, დენიკინის ჯარის ახალ შემოტევისაგან.

ჩვენ იმ თავითვე აღვნიშნეთ, სრული შეუძლებლობა ბრიტანეთის მთავრობის წინადადების შესრულებისა იმ მოსაზრებით, რომ ეს წინადადება ეხებოდა, ჩვენს მიერ ტერიტორიის ისეთი ნაწილის დაცლას რომელიც, როგორც თავისი ისტორიული და გეოგრაფიული პირობებით განუშორებელი მხარეა საქართველოსთვის, ხოლო თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით, გამაგრებული კარებია, რომლის გახსნით უნდა გავშალოთ მტრისათვის სრული შესაძლებლობა ახალ ოპერაციებისა დაწყებისა ჩვენს წინააღმდეგ.

ინგლისის მთავრობისაგან დადებითი პასუხიც რომ მოსულიყო საქართველოს მთავრობის წინადადებაზედ, ჩვენთვის ესეც კი არ იქნებოდა დამარწმუნებელი საბუთი მოხალისეთა არმიის დაშოშმინებისა, რადგან ეს არმია უფლებრივი, და კონსტიტუციონურად დაწყობილი სახელმწიფო ხომ არ არის, რომ შეგვეძლოს რუს ლენერალის სიტყვაზედ დანდობა და მისგან პასუხის მოთხოვნა საერთაშორისო უფლებით დაწესებული ნორმების მიხედვით?

იქ, სადაც ჩვენ საქმე გვაქვს შემთხვევით შეჯგუფებულ ხალხთან, რომელიც თავის გზას იკაფავს მახვილით, და ავანტიურით, პასუხის მოთხოვა და საერთაშორისო გარანტიების დამყარება მხოლოდ პოლიტიკურ სიბეცეთ ჩაითვლება.

ჩვენი გარანტია—გამაგრებული საზღვრებია და ის შეიარაღებული ძალა, რომელიც ამ საზღვრებს იცავს.

იარაღზედ—იარაღი, შემოტევაზედ შეტევითვე პასუხის გაცემა და წინასწარი თადარიგი მოსალოდნელ საფრთხისაგან.

ეს არის ენა ჩვენი ურთიერთობისა მოხალისეთა ლაშქართან და ეს ენა ძალიან კარგათ აქვს შესწავლილი ჩვენს მოწინააღმდეგესაც.

და როდესაც ჩვენგან ითხოვენ ამ ბუნებრივ გარანტიების ახსნას და, როდესაც საქართველოს მთავრობა საკვირველი გულუბრყვილობით თანხმდებოდა ამ მოთხოვნილებათ დაკმაყოფილებაზედ, საინტერესოა ვიცოდეთ, რისი იმედით სურს მას, საქართველოს მომავალი მშვიდობიანობის უზრუნველყოფა?

რომ ჩვენი შეხედულება სავსებით მართალი იყო, თვით მოხალისეთა არმიის უკანასკნელი დროის მოქმედებამ დაამტკიცა საკმაო მჭერმეტყველებით:

ჯერ საკმაო დროც კი არ გასულა წარმოდგენილ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომ დენიკინის ჯარმა თავისი შეტევა განაგრძო ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ფრონტებზედ:

ამ დღეებში მოსული ცნობებით, აგრის ხაზზედ დენიკინის ჯარის მოწინავე ნაწილებს სროლა აუტეხიათ ჩვენ მოდარაჯეთათვის.

აზერბაიჯანის მიერ ინგლისის სარდლობისადმი წარდგენილ ნოტიდან ირკვევა, რომ აზერბაიჯანის წარმომადგენელს ახვერდოვს მოხალისეთა არმიის გენერალმა ერდელმა, წინადადება მისცა თემირ ხან-შურის დასაცლელად და დაღესტანის მიდამოების სავსებით დატოვების შესახებ, რომელიც ბრიტანეთის მიერ დადებულ სადემარკაციო ხაზის სამხრეთით მდებარეობს.

გაზეთებში მოთავსებულია აგრეთვე ცნობა, რომ დენიკინმა ჩაჩნებს შემდეგი ულტიმატუმი წარუდგინა:

„მაჰმადიანთა დღესასწაულის „ორუჯის" მეოთხე დღეს მზად უნდა იყოს ჩაჩნების 4 შეიარაღებული ცხენოსანი პოლკი, ხოლო თუ ჩაჩნები ამ პოლკებს არ შეადგენენ, მაშინ საჩეჩნოს შეესევა ათიათას ყაზახისაგან შემდგარი დამსჯელი რაზმი და ძალით მოახდენს მობილიზაციას.

გენ. დენიკინმა განუცხადა ბაქოს რუსთა ეროვნულ საბჭოს დელეგაციას, რომ „რუსეთი ბაქოს არ დასთმობს."

ყველა ეს ფაქტები მოხდა მას შემდეგ, რაც ინგლისის მთავრობის ულტიმატუმი წარედგინა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან ერთად გენ. დენიკინსაც და ინგლისის სარდლობამ, წერილობით განაცხადა, რომ ულტიმატუმში მოხსენებული პირობების შესრულება, ჩვენთან ერთად, მოეთხოვება მოხალისეთა არმიის სარდლობასაც.

მომხდარი ფაქტები ორ რამეს გულისხმობენ: ან ინგლისის სარდლობის მოთხოვნილება იყო ცალმხრივი და მიმართული მხოლოდ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ინტერესთა წინააღმდეგ, ან და გენ. დენიკინი არ ემორჩილება ბრიტანეთის მთავრობას და არც მის სარდლობას შესწევს საკმაო ძალა გავლენა მოახდინოს თვითნება გენერალზედ.

ორივე შემთხვევაში, ჩვენი პოზიცია სავსებით გარკვეული უნდა იყოს და ჩვენი პასუხიც ორ აზრს არ უნდა იწვევდეს საქართველოს მთავრობის წრეებში:

ჩვენ არ შეგვიძლია საქართველოს ინტერესები და მისი ბედი გაურკვეველ მომავალს ვანდოთ და ავასრულოთ ყოველი დაუსაბუთებელი მოთხოვნილება მაშინ, როდესაც წინასწარ დარწმუნებული ვართ, რომ მოწინააღმდეგე მხარე არამც თუ შეასრულებს ანალოგიურ მოთხოვნილებათ, პირიქით ჩვენი დათმობით, ძალებს შეიმატებს ჩვენს სიწინააღმდეგოთ.

საქართველოს მთავრობა მტკიცედ უნდა დასდგეს დღევანდელ საზღვრების ხაზზედ და უბრძოლველად არ უნდა დასთმოს საქართველოს მიწა-წყლის არც ერთი ნაბიჯი.

## პრესსა

### მუშათა საკითხი და „ერთობა".

მუშათა საკითხის მოგვარება მთავრობის ერთ უმთავრეს საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს, ვინაიდან ამ საკითხის სწორი გადაჭრისაგან ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესება.

მუშათა შეგნებაში თავიდან იყო ჩანერგული ყალბი წარმოდგენა რომ მათი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია დაუსრულებელი ხელფასის მომატებით.

მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ დაამტკიცა, რომ ასეთი შეხედულება არ არის მართალი:

მუშების მიერ ხელფასის დაუსრულებელი აწევა, პროპორციულადვე იწვევს წარმოების საშუალებათა შემცირებას, ნაწარმოების გაძვირებას და საერთო შედეგში ფულის ფასის ისეთს დაცემას, რომელიც სრულებით აქარწყლებს მათი ხელ-ფასის მომატების მნიშვნელობასაც.

დღეს თვითონ მუშათა ორგანიზაციები დარწმუნდენ ამაში და ცდილობენ გამონახონ მათი უმწეო მდგომარეობის გაუმჯობესების ახალი საშუალებანი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ მდგომარეობის სალი ანალიზი და ჩვენში არსებული ეკონომიური პირობების შესწავლა მათ მიიყვანს იმ სწორ დასკვნამდე, რომელსაც ჩვენ თავიდან ვაღიარებდით.

საერთო სახელმწიფო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც სახელმწიფოს ყველა ეკონომიური უჯრედების შრომის ინტენსივობის გაძლიერებას და განაყოფიერებას მოყვება, არის ერთად ერთი საწინდარი მუშათა კეთილდღეობისა.

რა თქმა უნდა „ყველაფრის შემძლე" სოციალ-დემოკრატიული მთავრობამაც ვერ შესძლო ამ ჭეშმარიტებისთვის გვერდი აეხვია და მისგან გაწბილებულ მუშათა კლას დღეს სულ სხვა სიტყვებით ელაპარაკება. ამ მხრივ საინტერესოა გაზეთ „ერთობის" № 149 მოთავსებული წერილი სატარიფო პალატის შესახებ. რომლის ზოგიერთი ადგილები აქ მოგვყავს: „მომატება ჯამაგირისა ხდება მიზეზი მუშების მდგომარეობის გაუარესებისა და არა გაუმჯობესებისა. ასეთია მოჯადოებული წრე ლევანდელი მდგომარეობის. თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ საქონლის ფასის აწევით ეცემა ფულის ღირებულება. და სახელმწიფო სიკოტრის უფსკრულში მიექანება სამი წლის მუშათა ნასისხლარს მუქთად ჩატარებას უქადის, მაშინ აშკარა იქნება ჩვენი მდგომარეობის საშინელების წარმოდგენა". რომ, სატარიფო პალატამ უნდა „შეიტანოს ერთგვარი წესი ამ მოთხოვნილებათა ზრდაში" და თანაც იზრუნოს „ყველა დარგის მუშების თანასწორ პირობებში ჩაყენებაზე".

რა თქმა უნდა მუშების ხელფასის სრული „ნიველიროვკა" მხოლოდ შეაფერხებს ვაჭრობა მრეწველობის განვითარებას, ხოლო ყოვლად გაუმართლებელ ხელფასის უსწორ-მასწორობაი უსათუოდ ბოლო უნდა მოეღოს.

გაზეთი გრძნობს, მარტოოდენ ამ საშუალებით, ესე იგი სატარიფო პალატას გონიერ ღონისძიებით არ შეიძლება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და სამართლიანად აღნიშნავს:

„საბოლოოდ კი მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია მთელ რიგ ზომებზე, რომელიც სახელმწიფომ უნდა მიიღოს ფულისა და ვაჭრობა-მრეწველობის გაჯანსაღებისათვის.

ამიტომ ცალკე ამ სატარიფო პალატისაგან არ უნდა მოველოდეთ დიდ შედეგებს მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე. იგი მხოლო ერთი რგოლია მთელ რიგ საჭირო ზომებში".

მთავრობა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ზრუნვას იმის შესახებ, რომ შექმნას საიმედო პირობები, რომელშიაც ვაჭართ და მრეწველთ შეძლება ექნებათ, განავითარონ თავისი წარმოება ისე უშიშრად, რომ ხვალ, ან ზეგ, მათი წარმოება ჩამორთმეული არ იქნება, რომელიმე ახალ კანონმდებელ მენშევიკის თავში შეთხზულ დეკრეტით, ან და სრულებით განადგურებული შრომის სამინისტროსა და საპროფესიო კავშირთა მიერ დაწესებულ შრომის ფასის შიუღებელ პირობებით.

## ფოსტის ორგანიზაცია ამიერ-კავკასიისა და ანტანტის ქვეყნების შორის

წერილები ანტანტის ქვეყნებისთვის მიღებულ იქნებიან ბრიტანეთის სამხედრო ფოსტის მიერ ბათუმში ანტანტის ქვეყნებში გადასაგზავნად.

1. დაბეჭდილი ფოსტის ტომრები ყოველ კვირა დამზადებულ იქნებიან ბათუმში, თბილისში, ერევანში და ბაქოში შემდეგ ადგილებისათვის: 1. ლონდონი, 2. პარიზი, 3. რომი. 4. ათინა, 5. ბუხარესტი, 6. ნიუ იორკი, თუ შესაძლებელია, თუ არა შეერთებული შტატების კორესპონდენცია შეუერთდება ლონდონის ფოსტას.

2. ბრიტანეთის სამხედრო ფოსტის კანტორა კონსტანტინოპოლში: ბრიტანეთის სამხედრო ფოსტა კონსტანტინოპოლში პოსტ-რესტად - მხოლოდ კონსტანტინოპოლში, ეგვიპტის და აღმოსავლეთის კორესპონდენციისთვის იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ხსენებულ კანტორაში არ მოიპოვება საკმაო კორესპონდენცია ყოველ კვირეულ დაბეჭდილ ტომრების შესავსებად, მაშინ ჩამოთვლილი ადგილებისთვის დანიშნული კორესპონდენცია უნდა

გადაეგზავნოს სამოქალაქო ფოსტის კანტორაში ბათუმში, სადაც ის შეუერთდება ამ კანტორაში დამზადებულ ფოსტას.

3. ბრიტანეთის ფოსტა პასუხს არ აგებს ფოსტის ტრანსპორტისთვის ამიერ-კავკასიის საზღვრებში და ერთად-ერთი ადგილი სამოქალაქო ფოსტის და ბრიტანეთის სამხედრო ფოსტის ურთიერთ დამოკიდებულებისა იქნება ბათუმში, ამიტომ საჭიროა, რომ იმ სახელმწიფოთ, რომელთაც ჰსურთ ისარგებლონ ამგვარი კორესპონდენციის გადაგზავნით ანტანტის ქვეყნებში, თვითონ მოაწყონ ფოსტის გადაგზავნა ბათუმის სამოქალაქო ფოსტის კანტორაში, როგორც ეს მოხსენებულია მეორე §.

4. როცა ფოსტის ტომრები მიღებულ იქმნებიან ბათუმის სამოქალაქო ფოსტის კანტორიდან, ბრიტანეთის სამხედრო ფოსტა პასუხის მგებელია მათ მისამართით გადაგზავნაში. მხოლოდ მთელი კორესპონდენცია გაივლის ბრიტანეთის სამხედრო ცენზურის ქვეშ კონსტანტინოპოლში.

5. ბრიტანეთის ჯარის ფოსტის წარმომადგენელი იმყოფება ბათუმში და ის დაეხმარება რჩევით რამდენადაც შესაძლებელია. ინფორმაცია მის შესახებ თუ რომელი კანტორები იქმნენ ამორჩეული კორესპონდენციის დასამზადებლად ანტანტის ქვეყნებისთვის, უნდა მას გაეგზავნოს.

მისი მისამართი: D. A. D. P. S.

Bau Headquadus Batouni.

6. ზემოხსენებული განკარგულება დაუყოვნებელი შედის ძალაში,

პოლკოვნიკი: **დევერსონი.**

2 ივლისი 1919. წ.

## იტალიელთა რადიო სადგური თბილისში

ბათომში მოსულ იტალიელთა გემით „ფრანც ფერდინანდით", ჩამოვიდენ იტალიელი ინჟინრები რადიო-ტელეგრაფის აპარატებით და საჭირო **შტატით.**

რადიო-სადგური მოწყობილ იქმნა თბილისში.

## ქრონიკა

✦ დავით ღამბაშიძის ჩამოსვლა. თბილისში ჩამოვიდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ინგლისის მთავრობასთან, ბ-ნი დავით ღამბაშიძე.

✦ **ქალ. სანიტარულ საჭიროებისათვის** კავკასიის საფთიაქო მასალებით მოვაჭრე ამხანაგობამ დაადგინა 10,000 მან. გადასდოს ქალაქის გამგეობის განკარგულებაში, ქალაქის სანიტარულ საჭიროებისათვის.

✦ **წერილები ევროპიდან.** საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ევროპიდან დიდძალი პირადი წერილები შემდეგი პირებისა: ელისაბედ წერეთლისა, მ. ლ. მაჩაბლისა, მ. ა. ანანოვისა, ელ. დგებუაძისა, ვარაზიშვილისა, გ. ლ მაჩაბლისა, ციციანოვისა და სხვებისა.

✦ **მესხეთ-ჯავახეთის ობოლი ბავშვები.** საქართველოს წითელ ჯვრის ბავშვთა თავშესაფარში მოთავსებული 115 მესხეთ-ჯავახეთის ობოლი ბავშვები ამ დღეებში თბილისიდან გადაყვანილ იქმნენ სურამში, სადაც ისინი ქალაქ გარედ წითელი ჯვრის მიერ მათთვის დამზადებულ სახლებში გაატარებენ ამ ზაფხულს.

✦ **გზათა ტეხნიკოსების საგამოცდელო კომისია.** გზათა ტეხნიკოსების საგამომცდელო კომისიაში შედიან საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლის დირექტორი ინჟ. კაკაბაძე, ამავე სასწავლებლის მასწავლებელნი ინჟ. გრიდინი, ვარუნციანი და ივანიცკი; გზათა სამინისტროს წარმომადგენელნი: სახაზინო რკინის გზიდან ინჟ. ლოხვიცკი და გეგიძე, გზატკეცილების ოლქიდან ინჟ. ჩეხოევი და კახეთის რკინის გზიდან ინჟ. გრიგოლაშვილი. შემდეგი გამოცდები შესდგება ხუთშაბათს 10 ივლისს, დილის 10 საათზე საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში, დიდი მთავრის ქ., № 10.

### კრებები

✦ **საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება.** ხუთშაბათს, 10 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის ქ., № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საერთო კრება. განსახილველი საგანია: „სტუდენტების საზღვარგარედ გაგზავნის საკითხი". დასწრება წევრთათვის სავალდებულოა. საჭიროა დაესწრონ სხვა საზოგადოებათა წევრნიც ამ საკითხით დაინტერესებულნი.

✦ საქართველოს დამფუძნებელ კრების კანცელარიასთან ახლად მოწყობილ სტამბაში უკვე დაიბეჭდა და იყიდება დამფუძნებელ კრების 1 სესიის შემდეგი სტენოგრაფიული ოქმები: მაისის 6-ს (მე-13-ე სხდომა). ივნისის 1-ს (22-ე, საწრაფო სხდომა დენიკინის საფრთხის გამო). ივნისის 22 ს 22-ს (29 საგანგებო სხდომა აზერბაიჯანთან დადებულ ხელშეკრულობის სარატიფიკაციოდ.) თვითეულ სხდომის სტენოგრაფიული ოქმი ღირს 5 მანეთი. ყიდვა შეიძლება დამფუძნებელ კრების სტენოგრაფიულ ოქმების რედაქციაში. სასახლე, ოთახი 29. დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდის. (ტელეფონი 6—18). აქვე მიიღება ხელის მოწერა დამფუძნებელ კრების სხდომათა სტენოგრაფიულ ოქმებზე. ხელის მოწერის ფასი, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ 1 თვით 40 მანეთი. 2 თვით 80 მანეთი. 3 თვით 120 მანეთი. ყოველ ხელის მომწერს თვიურად გაეგზავნება 8 ოქმი.

✦ **ქართველი კურს დამთავრებულნი.** თბილისის საშუალო ტეხნიკური სასწავლებელთან არსებული სარკინიგზო სასწავლებელი წელს დაამთავრეს შემდეგმა ქართველ მოწაფეებმა:

1. არჩუაძე ვლად. 2. ვაშაკიძე შალ. 3. ედიბერიძე კონსტ. 4. კაკალაშვილი მიხ. 5. კაჭახიძე გიორგი 6. კველიძე ნიკოლ. 7. ქურდაძე გიორგი 8. მელიქაძე ტიტ. 9. მშვენიერიძე ნიკ. 10. ცხვარაძე ეპიფ. 11. შენგელია ალექს. 12. შენგელია სამსონი.

### ეკონომიური ცხოვრება

✦ **ნავთიან ადგილების ჩაბარება** ამ დღეებში ილდოყანსა და ფროველში გაემგზავრა სამთო სამმართველოს საგანგებო კომისია, ნავთიან ადგილების ჩასაბარებლად.

✦ **ნახშირის მტვერი.** სამთო სამმართველო რკინის გზის სახელოსნოში ახდენს ცდას, ნახშირის მტვერის საწვავ მასალად გამოყენებისათვის. როგორც შეძლენე პირები ფიქრობენ, ნახშირის მტვერი გამოყენებულ იქმნება როგორც ქარხნებში ისე რკინის გზებზე.

✦ **მევენახე-მეღვინეთა კონგრესისათვის.** საქ. მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტმა დაავალა საქართ. რესპ. მეღვინეთა და მევენახეთა უფროს სპეციალისტს ბატ. კ. ბერიკაშვილს, გამართოს მოლაპარაკება ბ. ნ. ნიკოლაძესთან, რათა უკანასკნელმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა კონგრესზედ. აგრეთვე ბატ. ბერიკაშვილს დაევალა მოაწყოს მევენახეთა წინასწარი თათბირები, სვირში, შორაპანში და ქუთ. გუბ. სხვა და სხვა კუთხეებში.

✦ **შაქარი.** ბათუმის გაზეთების ცნობით, სტამბოლიდან ნოვოროსსიკსა და ბათუმში (უმეტესი ნაწილია — ფხვნილი) გამოგზავნილია შაქარი. ტვირთის ნაწილი ბათუმში უკვე გადმოტვირთულია. შაქრის მიმღებმა ადგილობრივ სპეკულიანტებში დიდი აურ-ზაური გამოიწვია და სულ მოკლე ხანში ფუთის ფასმა 1,500 მან. 800—750 მანეთამდე დაიწია.

✦ მეფუტკრეობისათვის საჭირო იარაღების გატანა. საქართველოს რკინის გზების სასურსათო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის წინაშე ნება მიეცეთ მათ გაიტანონ სომხეთში მეფუტკრეობისათვის საჭირო იარაღები. შუამდგომლობა გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელმაც შესაძლებლად სცნო ამის დაკმაყოფილება.

✦ **ფეხსაცმელები სტუდენტთათვის** სახელმწიფო უნივერს. სტუდენტთა კავშირის გამგეობამ ორშაბათს, 7 ივლისს გამოიტანა ქალაქთა კავშირის საწყობიდან უკანასკნელი პარტია ფეხსაცმელებისა, წინდაწინ ჩაწერილთ შეუძლიანთ ფეხსაცმელები მიიღონ სტუდენტთა სასადილოს კანტორაში.

### სხვა და სხვა ამბები.

✦ **თვითმკვლელობა.** 8 ივლისს დილის 7 საათზე აზოვ-დონის ბანკის ბინაზე რევოლვერით თავი მოიკლა მილიციელმა ალ. ზოლოტუშინმა.

✦ **ყაჩაღის შეპყრობა.** 7 ივლისს დღის 3 საათზე 5 კომისარიატის მილიციელებმა დაიჭირა მირიან სოიმოლი, რომელსაც ბრალდება 68,000 მან. გატაცება ვორონცოვის ქ. 56 № სახლიდან.

✦ **ტუსაღის გაქცევა.** 7 ივლისს მე-4 კომისარიატიდან გაიქცა დატუსაღებული ტატიანა ხურცილავა, რომელსაც ბრალდებოდა აკოპოვის მაღაზიიდან 2,000 მან. მოპარვა.

### სამხატვრო ქრონიკა

✦ **ქარ. სამუსიკო საზოგადოების ახალი გამგეობა.** ქართველ სამუსიკო საზოგადოების წლიური კრება კიდეც დამთავრდა. გამგეობაში აირჩიეს: კოტ. ანდრონიკაშვილი, ივ გომართელი, ალ. ახმეტელაშვილი, ივ. ცაგარელი, ს. ყიფიანი, პ. კახელიძე, მ. მაჩაბელი, გ. ღვინიაშვილი, პ. მოსულიშვილი. აირჩიეს აგრეთვე მუსიკალური კოლეგია, რომელშიაც შედიან: არაყიშვილი, ან. ყარაშვილი, ი. კარგარეთელი, სულხანიშვილი, და აბაშიძე.

✦ **ქარ. მომღერალთა დამფუძნებელი კრება.** კვირას, დილის 10 ს. ქართველ მომღერალთა კავშირი ახალ კლუბის დარბაზში ქარ. მომღერალთა დამფუძნებელ კრებას იწვევს.

✦ **ხელოვნებისა და ხელოვანთათვის.** დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის თავმჯდომარემ ბ. პავლე საყვარელიძემ მთავრობას ვრცელი მოხსენება წარუდგინა ქართული ხელოვნებისა და ხელოვანთა შესახებ: 1) საოპერო სეზონი, 2) დრამატიულ ხელოვნების საქმეთა წარმოება, 3) დამსახურებულ ხელმოკლე საზოგადო მოღვაწეთა და მსახიობთა დახმარება და სხვა.

## პროვინციის ცხოვრება

### ქ. ახალციხე

გაანთავისუფლეს და დაბრუნდა ქ. ახალციხეში ეგრედ წოდებული „იუგო ზაპადნოე პრავიტელსტვოს" სურსათ—სანოვაგის ყოფილი „მინისტრი" კარტალოვი. ამბობენ, რომ ბ-ნ კარტალოვს დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალციხე ახალქალქის მცხოვრებლებისადმი (?) და მათი ტერიტორიალური დამოუკიდებლობის მოპოების მიზნის ნიადაგის მომზადებაში, რომელნიც თურმე (!) იმყოფებოდენ უცხოელების (?) უღელ ქვეშ (!).

— ახალციხის საქალაქო არჩევნები, რომელიც უნდა მომხდარიყო ივლისის 6-ს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით გადაიდვა განსაკუთრებულ განკარგულებამდის.

— გადაყენებული იქმნენ სამსახურიდან ურავლისა და აწყურის რაიონების კომისრები, უკანასკნელ აწყურის კომისრის თავის ადგილას დაბრუნებას მოითხოვს აწყურის საზოგადოება.

— დათხოვნილ იქნა სამსახურიდან ახალციხის მაზრის მილიციის უფროსი მანტკავა და მისი ადგილას დაინიშნა შტაბროტმისტრი მიქელაძე.

— ახალციხის მაზრის თანაშემწემ პორუჩიკ ათაბეგოვმა აღმოაჩინა ი. ორბელიანის და ი. ასათიანის გამცარცველებნ. მძარცველებს აღმოაჩნდათ ნივთები, დამნაშავენი დაატუსაღეს.

— ახალციხეში დაარსდა მუზეუმი ახალციხეში, შესდგა ჯგუფი რომელსაც მიზნად აქვს დასახული მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს რაბათის სკოლას და ახლად დაარსებულ მუზეუმს ახალციხეში. ამ მიზნისთვის ახლო მომავალში გაიმართება ყულაბებით ფულის შეკრება, მიიღება აგრეთვე შემოწირულებაც.

## სომხეთში

### ბამბის დაწვა.

მკათათვის 2-ს, ყარსის რკინის გზის სადგ. ყარაიაში შენახული 70 ათასი ფუთი ბამბა დაიწვა უცნობ მიზეზებით. ცეცხლისაგან სადგურის რამდენიმე შენობაც დაზარალდა. ზარალი 2—3 მილიონ მანეთს უდრის. („ე. ძ.").

### ქარიშხალი და სეტყვა.

მკათათვის 2-ს, ერევანში დიდი ქარიშხალი ამოვარდა. ქარმა ძირიანად ამოჰგლიჯა მსხვილი ხეები, დაანგრია ბანები და გაუწყვეტია ელექტრონისა და ტელეფონის მავთულები. შირაქის მაზრაში იმავე დღეს მოსულა დიდი სეტყვა, რომელსაც დიდი ზარალი მიუცია ს. ქიაფტარისა და მის ახლო მდებარე სოფლებისათვის. („ე. ძ.").

### მინისტრების გადადგომა.

როგორც გაზ. „ჟოღოვრდი ძაინი" გადმოგვცემს, დაშნაკელების კაბინეთი უკანასკნელ ხანებში რღვევას განიცდის. გაზ. „ჰაიასტანი აშხატავორი" აბრალებდა ორ მინისტრს შაჰასიანს და თოროსიანს ქურდების და მძარცველების მფარველობას. „ჰაიასტანის აშხატავორმა" ვ. ხორენიამ უშიშრად და აშკარად მოსთხოვა სამართალს ამ საქმის განსაჩხრევა და დაჰპირდა ფაქტების მოყვანა. ამის გამო გადადგნენ მინისტრები: მინასიანი და თოროსიანი თავის თანაშემწეებით. თანამდებობიდან გადადგა აგრეთვე რედაქტორი ვ. ხორენია.

### მიწის კანონი.

მთავრობამ მიწის შესახებ კანონი მიიღო დადგენილება. 1) გაბათილდეს ის ხელშეკრულობა, რომლის თანახმად სოფლელებზე გაყიდულია ან დაგირავებულია ბაღები, სახლები, წინ ქვილები, მიწის ნაწილები, უძრავი ქონებები, ბაღების და ნათესის მოსავალი.

2) კანონი ძალაში შედის 1918 წლის ქრისტეშობისთვიდან. მყიდველებს და დამგირავებელ პირებს ფული ისევ უნდა დაუბრუნდეს.

3) მომრიგებელ მოსამართლეებს ევალება, რათა ადგილობრივ მოსახლეობიდან არჩეულ ორ ორ წარმომადგენლებთან ერთად ზედამხედველობა გაუწიონ ხელშეკრულებობის გაბათილებას.

4) მომრიგებელ მოსამართლეებზე ჩივილის შეტანა ოლქის სასამართლოში შეიძლება მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში. 5) ზემოდ ხსენებული ხელშეკრულებანი საბოლოოდ გაბათილებულად ითვლება და სხვა თხოვნის შეტანა მის წინაალმდეგ არ შეიძლება. 6) იმ კანონის შესრულებაში მოყვანის დროს დანიშნულია ექვსი თვე, თიბათვის 1 დან 1910 წლ. ქრისტეშობისთვის 31-მდე.

### კოოპერატივების წლის დღესასწაული

ახლო მომავალში სომხურ კოოპერატივების წლის დღესასწაულს გარდიხდიან.

### გადასახადი მაგარ სასმელებზე

მთავრობამ მოუწონა საქალაქო თვითმართველობის წინადადება მაგარ სასმელებზე და ბანქოზე გადასახადის დანიშვნის შესახებ.

## აზერბაიჯანი

### ვაჭრობა ამიერ კავკ. კოოპერატივთა კავშირთან.

აზერბაიჯანის ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს წინადადება მისცა, რომ 15 ათას ფუთ პურის ნაცერლს, 1000 ფუთ ქერს 8,500 ფუთ პურს, 10,000 ფუთ პურის ფქვილს (პირველ ხარისხის) გაღეცვლის 150 ცალ ქართულ ურმისა და შაქარში.

### გემზე თავდასხმის განზრახვა.

პარასკევს, მკათათვეს 4-ს ბაქოში სალიანიდან ჩამოსულ გემისათვის სოფ. „შიხოვასთან" თურქმენთა ნავიდან უცნობ პირებს სროლა აუტეხიათ. გემის უფროსს სწრაფად მიუქცევია ნაპირისკენ და თავდამსხმელთაგან გადურჩენია. ლენქორანიდან ლტვოლვილთა სიტყვით თურქმენთა ნავზე ბოლშევიკი მეზღვაურები იყვნენ.

### საქართველოში გამსვლელთათვის.

ბაქოს „გრადონაჩალნიკი" აცხადებს რომ საქართველოში მოგზავალნი უეჭველად უნდა გამოცხადდენ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგე-

## აფხაზეთში.

### ბოლშევიკების მეორე შემოსევა

ამ მოვლენით დიდათ სარგებლობენ ბოლშევიკები, აბხაზებს ეუბნებიან „ხო ჰხედავთ, ქართველი სოციალისტები-მენშევიკები თქვენ მიწებს მეგრელ მოიჯარადრეებს ურიგებენო" ყველა ეროვნების მოიჯარადრეებს კი უქადაგებდნენ: „რად გინდათ მიწის გადმოცემის დაპირება, თუ სრული ძალა-უფლება შეუგნებელ აბხაზთა ხელში იქნებაო". ამ აზრთა არევ-დარევით ისარგებლა გუდაუთის კომისარმა —ლაკობამ: დაამზადა აბხაზთა რაზმები, აამხედრა ისინი სოხუმელ ქართველ-მენშევიკების წინააღმდეგ, რომელნიც აბხაზეთის მიწას მოსულ მოიჯარადრეებს ურიგებენ; ამავე დროს იმავე ლაკობამ გამართა მოლაპარაკება ბაბუშერელ (ბადორის ნაწილი) მეგრელებთან და წებელდელ სომხებთან. მათ შემოუთვალა, რომ თქვენი მტერი მხოლოდ აბხაზი აზნაურები არიან, თქვენ აბხაზი გლეხობა დაგიმტკიცებს აზნაურების მიწებს, ოღონდ თქვენ დაგვეხმარეთ სოხუმელ მმართველების საწინააღმდეგო ბრძოლაშიო. შუამავალად ლაკობას ბაბუშერელთა წრეში კარგად ცნობილი ჩვენებური „სევა" კუხალეიშვილი ჰყავდა. ამნაირად მომზადებული ლაკობა დაიძრა თავის ჯარით გუდაუთიდან.

როცა ახალ-ათონთან მოაწია სოხუმში შიში დაიბადა, მივაშურეთ ჩვენ მმართველებს, მაგრამ მათ არავითარი წესი და აზრი არ ჰქონდათ შემუშავებული მცხოვრებთა დასაცველად. ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ, მენშევიკების მართველობას გადაწყვეტილი ჰქონდათ შერიგებაზე მოლაპარაკების გამართვა ბოლშევიკებთან. უკვე გაუგზავნიათ მათთან მოციქულები; ამის შემდეგ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სოხუმელ ქართველების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ და მთხოვეს მთავრობასთან როგორმე მეშუამდგომლა და მათ სახსნელად ჯარი მიმეშველებინა, მე მოვითხოვე ოფიციალური ქაღალდი, როგორც ქალაქის გამგეობის, ისე აბხაზთა საბჭოსაგან; ორივე დაწესებულებისაგან მივიღე რწმუნების ქაღალდები, რომლითაც მთავრობას სთხოვდნენ „ანარქიის" ასაცილებლად და მცხოვრებთათვის მშვიდობიანობის დამყარებისთვის ჯარის გამოგზავნას. ამ მონდობილებით მე 24 მარტს გავემგზავრე ბათომისკენ პირდაპირ, რადგანაც იქიდან კრეისერი „კარლის" წამოყვანის იმედი მქონდა, იმ დროს თვით ბათომი განსაცდელში იყო: დამცველ მოხალისე ჯარის კაცებს მიეტოვებინათ მაღლობი ადგილები და დღითი-დღე მოსალოდნელი იყო ბათომის აღება თათრებისაგან; ერთად ერთი შველა, დროებით მაინც მტრისაგან ქალაქის დაცვის კრეისერი იყო, რომელიც ყოველის მხრით უვლიდა მოწინაალმდეგეს და ზარბაზნებს უშენდა. ვინახულე კრეისერის მმართველი ჰავჭავაძე, ავუხსენი სოხუმელთა გასაჭირი; დიდი თანაგრძნობით მოისმინა ჩემი თხოვნა, მაგრამ მე თვითონ ვხედავდი რომ ჩვენთვის მას არ ეცალა, ბათომი უარეს გაჭირვებაში იყო, სანამ სოხუმი; მირჩია ორი-სამი დღე მოიცადე და გარემოება გამოირკვევაო; ამ ხანში, როგორც ვიცით კრეისერი „კარლოსიც" გაიპარა და ბათომის მდგომარეობაც გადაწყდა. 26—27 მარტს კი ბოლშევიკები ქ. სოხუმში შესულან: ყველა დაწესებულებანი დაუჭერიათ მცხოვრებთა გადასახადად ორი მილიონი ჯარიმა დაუწესებიათ; დაუყოვნებლივ ფულის წარმოუდგენლობის გამო სოხუმელთა შესაშინებლად დაუჭერიათ ქალაქის თავი—ბენია ჩხიკვიშვილი, აბხაზთა საბჭოს თავმჯდომარე ზუხბაი, ეხმი ოჯახობა და ოცამდე ვაჭრები. ამ შემთხვევაში სოხუმელთა მისაშველებლად გამოდის ბერძენთა საზოგადოების საბჭო და მისგან შედგენილი რაზმი, რომელმაც „ულტიმატუმი" წარუდგინა ბოლშევიკებს: „თუ საზოგადო მოღვაწენი და საპატო პირნი არ გაგიშვიათ, ჩვენ იარაღით წინააღმდეგობას გაგიწევთო; ამ რისხვის გამო ბენია ჩხიკვიშვილი და სხვა საზოგადოების წარმომადგენელნი სატუსაღოდან გაანთავისუფლეს. როცა სამტრედიაში ვიყავი გაბაშვილის შტაბთან სოხუმის დასახსნელ რაზმის შესადგენად, გავიგე, რომ ბენიას გაევლო თბილისკენ და შემთხვევით წასულ ზოგიერთ სოხუმის დამცველ რაზმელებისათვის ალუთქვამს: ამაოდ მეცადინეობთ, სოხუმში ჩვეულებრივი გლეხობის მოძრაობაა და მათ წინაალმდეგ ჯარის გაყვანა არ შეიძლებაო". რამოდენიმე დღის შემდეგ გაზეთში წავიკითხე, რომ ბენია ჩხიკვიშვილი ქუთაისის გუბერნიის კომისარის თანამდებობაზედ დათანხმებულა და სოხუმზედ ზრუნვა მიუტოვებია.

ორნაირი მწუხარებით გულდაწყვეტილი, ერთი სოხუმის გასაჭირით და მეორე ჩვენი საუკეთესო ნავთ-სადგურის, ჩვენი დამოუკიდებლობისათვის მოუცილებელი ციხე-სიმაგრე და მცხოვრებთათვის სარჩენი ქალაქის-ბათუმის დაკარგვის გამო, თავდავიწყებით გავეშურე თბილისაკენ. იქ წერილობითი მოხსენება წარუდგინე იმ დროს არსებულ სეიმის სამინისტროს თავმჯდომარეს ე. გეგეჭკორს რა თქმა უნდა, თავი მოსაჭერად გვქონდა და თმაზედ ვიღა იფიქრებდა; ეროვნულ საბჭოსაც აუხსენი სოხუმელთა მდგომარეობა, მათი უპატრონობის ამბავი; ყველას უნდოდა დახმარება, მაგრამ ჯარი, თუ სადმე იყო, მთელი საქართველოს აოხრებისაგან დასახსნელად იყო საჭირო, ვხედავდი, ვგრძნობდი ამას და მთავრობის დახმარებით ვცდილობდი თავისუფალ მეომართაგან საგანგებო რაზმი შემედგინა სოხუმის გამოსახსნელად და განაპირა ადგილების დასაცავად. მინისტრთა თავმჯდომარისაგან ევგენი გეგეჭკორისაგან მივიღე წერილობითი განკარგულება ჯარის სარდალთან—ღენერალ ვ. გაბაშვილთან, რომ ჩემთვის სოხუმელთა დასახსნელათ რაზმის შედგენის საქმეში ხელი შეეწყო და სამასი თოფი გადმოეცა. ვ. გაბაშვილი დიდის თანაგრძნობით მოეკიდა ჩვენ თხოვნას, მაგრამ ბევრი ახსნა არ მჭიროდა მისგან, მე თვითონ ვხედავდი ჩვენი მთავრობის უსაშველო მდგომარეობას. მე განვიზრახე მცირედი რაზმი შემედგინა გამოცდილ, გერმანელებთან ბრძოლაში გამოწვრთნილ მეომრებისაგან, უმეტეს ოფიცერთა წრიდან; ვფიქრობდი ასეთი გამოცდილი მეომრები სამასი კაციც საკმარისი იქნებოდა: მეომართა საკმაო რიცხვს თვით აბხაზეთში ვაპირებდი შეკრებას, ამ საქმის გამო შეუწყვეტელი მიწერ-მოწერა მქონდა აფხაზთა მეთაურებთან; დიდი თანაგრძნობით დაჭერთგულობით მხარს უჭერდნენ, მიცდიდნენ და მეხმარებოდნენ, ამ ჟამად ჩვენი მთავრობისაგან, გაუგებრობის გამო, მოღალატეებად ცნობილნი ალექსანდრე შერვაშიძე და ტატა მარშანია რაზმის შედგენის საქმეში მეხმარებოდენ და მუდამ ჩემთან იყვნენ ოცდაათი ახალგაზრდა ოფიცერი აფხაზები და ზოგი მეგრელ ქართველნიც, რომელთაც მოასწრეს სოხუმიდან გამოქცევა ბოლშევიკების შემოსევის დროს. უკანასკნელ წამამდე იცავდნენ ქ. სოხუმს, მაგრამ როცა გამოირკვა, რომ მენშევიკები თავიანთ გვარდიით ბოლშევიკებს შეუთანხმდნენ და სომეხთა რაზმი აშკარად მოწინააღმდეგის ბანაკში გადავიდა აფხაზ-ქართველთა მცირედი მეომართა ჯგუფი დარჩა მარტო და გასაქცევი საშუალებაც არ ჰქონდათ მათ; არტილერია ქალაქის დამცველთა ხელში იყო; როცა ბატარეის გამგე ოფიცერმა ხისენაიმერმა ქალაქიდან დასახევ მეომარ ჯგუფის დასაცველად რამდენიმე ჯერ გაისროლა ზარბაზანი და ამით ბოლშევიკთა წრეში შიში ზარი დაბადა, ქალაქის თავმა ბენია ჩხიკვიშვილმა ტელეფონით ბრძანება მისცა ეხლავე შეაჩერეთ სროლა, თორემ პასუხს აგებთ მთავრობის წინაშეო; დასავლეთიდან გუდაუთელი აბხაზები, სომხები და რუსები მოდიოდნენ, აღმოსავლეთიდან კი ჩვენებური გაბალშევიკებული მოიჯარადრე—მეგრელები იწევდნენ ქალაქისაკენ, დარჩა დამწყვდეული მცირედი რაზმი აბხაზ-ქართველთა, რომელსაც ბოლშევიკებთან შეთანხმება არას გზით არ უნდოდა; მოიტაცა მან პატარა, მანქანით მოსიარულე ნავი და იმის საშუალებით გამოეშურა ფოთისაკენ, იქიდან კი თბილისში ჩემთან მოვიდა ეს პატარა მეომართა ჯგუფი; არავითარი სახსარი: არც ბინა, არც ნაცნობობა ამ გადმოხვეწილებთ არ ჰქონდათ; დიდი დახმარება აღმოუჩინა ამ ლტოლვილებს ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებამ პართენ გოთუას შუამდგომლობით და მღვდელმა გიორგი თუმანოვმა, რომელმაც ხუთი ათას მანეთზე მეტი თავის საკუთარი ფული დახარჯა ამ რაზმის საჭიროების დასაკმაყოფილებლად; ამ თუმანოვმა, რომელიც შემდეგში თათრების „ემისსარად" მონათლა ჩვენი მართველი პარტიის წარმომადგენლებმა და ბოლოს მეტეხის ციხეში დამწყვდეულ იქმნა, ადგილობრივი მმართველების მოხსენებით, ჩვენი მთავრობის განკარგულებით, მხოლოდ თბილისში გაიგო სოხუმის და საზოგადოთ, აბხაზეთის გაჭირვების ამბავი, მიიღო მხურვალე მონაწილეობა ჩემთან ერთად საქართველოს მთავრობასთან შუამდგომლობაში: აბხაზეთში ჯარის გაგზავნის მოსაწყობად, რამოდენიმეჯერ იყო მთავრობის სხვა და სხვა წარმომადგენლებთან, გულწრფელი მომხრე და თანამგრძნობელი იყო იმის, რომ მხოლოდ ქართველ ჯარს აბხაზების დახმარებით აღედგინა წესიერება სოხუმში; დიდათ ეშინოდა რომ თათრებს არ ესარგებლათ შემთხვევით და „დესსანტი" არ გადმოესხათ; ამას აშკარად აცხადებდა მთავრობასთან, რამდენიმე დეპეშაც არის ამნაირი შინაარსის აკაკი ჩხენკელის სახელზედ მღვდელ თუმანოვისაგან.

რაზმის შედგენაში დიდად გვიშლიდა ხელს ის, რომ ჩვენ მართველი პარტიის წევრნი არ ვიყავით, თუმცა ყველა მიცნობდა, მენდობოდა, დახმარებას მპირდებოდა, მაგრამ რაღაც მაინც აბრკოლებდა საქმეს; ეს ნათლად დავინახე ერთი გარემოების შემდეგ: ბევრ ნაცნობ და ომში გამოცდილ ჩვენებურ ოფიცრობას მივმართე თხოვნით მიეღო მონაწილეობა ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საქმეში—აბხაზეთში წესიერების დასამყარებლად რაზმის შედგენაში; ყველა დიდის თანაგრძნობით ეგებებოდა ჩემს აზრს, მაგრამ მაფრთხილებდნენ: ვერას გზით ვერ შეადგენთ ვერავითარ რაზმს, თუ მმართველად და ხელმძღვანელად „სოციალისტი" არ გეყოლებათო. ამ სიტყვების სიმართლეში დავრწმუნდით ერთი გარემოების შემდეგ: სამხედრო მინისტრის წერილობითი ბრძანების და ჯარის სარდალი ვ. გაბაშვილის შტაბის განკარგულების თანახმად სამასი თოფი უნდა მიმეღო: სადაც არ გამგზავნიდა შტაბის უფროსი თოფების საშოვნელად, ყოველგან რაღაც მიზეზების გამო უარს მეუბნებოდენ; როცა ზოგიერთ ჩემ ნაცნობ, იარაღების საწყობის გამგე მენშევიკებს შევსჩივლე; რათ მაბრკოლებთ, ხომ იცით აბხაზეთს რა მნიშვნელობა აქ ჩვენი ქვეყნისთვის: ბათომი დავჰკარგეთ, ეხლა სოხუმიც რო დავჰკარგოთ ხომ დაიღუპება ჩვენი ქვეყანა მეთქი; ერთი მათგანი შემეკითხა, რატომ ვალიკო ჯუღელს არ მიჰმართავთ თხოვნითო, მხოლოდ იმას შეუძლია მაგ საქმეში დახმარებაო. მე დიდის სიამოვნებით მივმართავდი ვ. ჯუღელს, მით უმეტეს ვიცოდი, რომ ის სოხუმელი იყო, მაგრამ იმ დროს ვ. ჯუღელი მისი რაზმით ნატანებთან იყო თათრებ-

ნელთან და ამისთვის ნებართვა მისგან უნდა იქმნეს მიღებულიო.

### ამერიკის მიერ ბაქოს ნავთის შესყიდვა.

ბაქოში ჩამოვიდა ამერიკის ნავთის სინდიკატის „სტანდარტ ოილი კომპანი"-ს წარმომადგენელი მისტერ ტომასი, რომელსაც დავალებული აქვს მოლაპარაკება აწარმოოს და ხელშეკრულება დასდოს 12 მილიონ ფუთი ნავთის შესაძენად. ხელშეკრულება კიდეც დასდეს გზათა სამინისტროს წარმომადგენელმა მელიქ ასლანოვმა და მისტერ ტომასმა მკათათვის 3-ს. ხელშეკრულებისძალით 1920 წლის იანვრის 1-ამდე აზერბაიჯანის მთავრობამ ბაქოში უნდა დაამზადოს 100,000 ტონი ნავთი—(დაახლოვებით 6,000,000 ფუთი) ფრანკო-პორტ-გემით შემდეგ ფასად: მკათათვე, მარიამობისთვესა და ენკენისთვეს ტონა **34** დოლარად, ღვინობისთვეს 33 ნახ. დოლარად და იანვარში 33 დოლარად ტონა. გადახდა მოხდება იმ ვალიუტით, როგორც ისურვებს აზერბაიჯანის მთავრობა. გადასახდელ ფულიდან 10 პროცენტს ამერიკელები დაიჭერენ სანამ კონტრაქტი ბოლომდე არ შესრულდება და ანგარიში სულ არ გასწორდება იანვრის 31-ის შემდეგ ამერიკელები თანახმანი არიან შეისყიდონ კიდევ 100,000 ტონა ნავთი 33 დოლარად ტონა ნავთის გადაზიდვა დაიწყება დაახლოვებით სკათათვის შუა რიცხვებიდან.

### ხარები სოფლისათვის.

მზრუნველობის სამინისტრომ სპეციალური აგენტი დანიშნა 44 წყვილ ხარ კამეჩის შესაძენად, რომელიც ლტოლვილებს დაურიგდებათ სასოფლო მეურნეობისათვის.

### პირველი საფოსტო მატარებელი როსტოვში.

მკათათვის 4-ს დილის 2 საათზე როსტოვში პირველი საფოსტო მატარებელი გაემგზავრა. გადაჯდომა სხვა მატარებელში დარუბანდში მოხდება სადაც მას დახვდება კავკავის რკინიგზის № 3 მატარებელი.

### ბაქოს ბირჟა.

| | | |
|---|---|---|
| „კერენკა" | 1000 მან. | 1500 მ. |
| „ „ | 250 გადის | 1250 მ. |
| „ნიკოლოზ. | 100 მან. | 350 მ. |
| წვრ. ფული | 100 მან. | 220 მ. |

ამ.-კავ. ბონ. 4 პროცენტით მეტადა ღირს ბაქოს ბონებზე.

### ვალიუტა სპარსეთში.

| | | |
|---|---|---|
| 1000 მან. ბონებში | | 70—75 კრან. |
| 1000 მ. „კერ" ღირს | | 145—150 კრან. |
| 250 მან. | „ „ | —115 კრან. |
| ოსმალ. ლირა (ოქ.) | | 34— 35 კრან. |

## ჩამორთმეული მიწების რაოდენობა.

აგრარული რეფორმა საქართველოში ნახევრად თითქმის გაატარეს: პირველი სტადია მისი, მამულების სახელმწიფოს ხელში დაგროვება თითქმის დასრულდა.

მიწად მოქმედების სამინისტროში არსებულ ცნობებით შეიძლება წარმოდგენა საერთოდ ჩამორთმეულ მიწების რაოდენობისა.

სულ ჩამოურთმევიათ თიბათვის პირველამდე 2940 მამული, საერთოდ 447.816 „დესეტინა". ამათგან თბილისის გუბერნიაში 378.828 „დესეტინა" არის. სულ 2339 მამული.

ქუთაისის გუბერნიაში—601 მამულია, რომლის სივრცე 69.992 „დესეტინას" უდრის.

სხვა და სხვა მაზრებში ჩამორთმეული მიწების რაოდენობა უდრის:

| | მამული: | დესიატინა: |
|---|---|---|
| თბილისის მაზრაში | 367 | 67.773 |
| სიღნაღის „ „ | 268 | 37.058 |
| თელავის „ „ | 449 | 44.762 |
| ბორჩალოს „ „ | 102 | 55.287 |
| დუშეთის „ „ | 117 | 20.612 |
| თიანეთის „ „ | 73 | 31.634 |
| გორის „ „ | 959 | 120.506 |
| ახალ ციხის „ | 4 | 1.185 |
| ქუთაისის „ „ | 168 | 8.307 |
| ზუგდიდის „ „ | 20 | 2.887 |
| ლეჩხუმის „ „ | 5 | 2.261 |
| ოზურგეთის „ „ | 129 | 22.227 |
| რაჭის „ „ | 4 | 64 |
| სენაკის „ „ | 148 | 27.443 |
| შორაპნის „ „ | 127 | 5.801 |

## დეკრეტი ბინებიდან სავაჭრო, საწარმოვო და სახელოსნო დაწესებულებათა აყრის შესახებ

(არა ოფიციალური)

1. დროებით, სანამ არ გამოიცემა შესაფერი კანონი, ბინათა შესახებ, სასამართლო განყოფილებებში შეწყდეს გარჩევა ბინიდგან აყრის შესახებ საქმეებისა, ხოლო თუ სასამართლომ ასეთ საქმეზე განაჩენიც გამოიტანა მისი ასრულება შეჩერდეს. ეს მუხლი შეეხება სავაჭრო დაწესებულ., საწყობებსა და კანტორებს.

2 ეს დეკრეტი ძალაშია დამფუძნებელ კრების მიერ მისი მიღების შემდეგ.

ხელს აწერენ: დამფუძ. კრების თავმჯდომ. უფროსი ამხ. **ა. ლომთათიძე.**
მთავრობის თავმჯდომ. მოადგილე

**ევგ. გეგეჭკორი.**

## საბავშო თეატრი

ეს ერთი ხანია თბილისში შესდგა ინტელიგენტ ახალგაზრდათა დრამატიული საზოგადოება „საბავშო თეატრი".

დღემდე საბავშო წარმოდგენები იშვიათად იმართებოდა. მაგრამ ეს ხშირი მოვლენაც რომ ყოფილიყო, მუდმივი საბავშო წარმოდგენების ხასიათი არა ჰქონია,—და „საბავშო თეატრი"-ს დაარსებაც სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო.

ის ქვეყანა, რომელიც სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ხანას განიცდის, სადაც ყოველგვარი კულტურულ-ეკონომიური ცდა დიდათ მნიშვნელოვანია, საბავშო თეატრის არსებობის საჭიროება დროულ და საჭირო ცდად უნდა იქნეს აღიარებული... ქართველი ერის მოზარდი თაობა კულტურულად უსათუოდ ვერ არის დაკმაყოფილებული; მისი დღევანდელი არსებობა ვერ უზრუნველ-ჰყოფს მის სულიერ და კულტურულ მოთხოვნილებას. . ამისთვის ჩვენი ერის ამ კატეგორიის მომზადებას ყველა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს. .

ქართული საბავშო თეატრი ერთი ის სკოლათაგანი უნდა იყვეს, სადაც ჩვენი მოზარდი თაობა აღიზრდება... ჩვენ არ ვიტყვით, რომ სწორედ ახლა დაარსებული საბავშო თეატრი შესძლებს ამის შესრულებას, ჩვენ სურვილს გამოვსთქვამთ, რომ ამ ახალ ცდაზე დამყარდეს სასურველ შედეგების მომტანი საბავშო თეატრი, რასაც დიდის სიამოვნებით მივეგებებით.

„საბავშო თეატრმა" თბილისში კიდეც გამართა რამდენიმე წარმოდგენა და ახლა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მიემგზავრება.

მოკეთე.

---

თან ბრძოლაში. იარაღების საწყობ სახლში შევამჩნიე სამასზე მეტი თოფი, ვკითხე ეს თოფები ვისთვის უნდოდათ, მიპასუხეს, რომ ესენი ჩამორთმეულია ბათომიდან გამოსულ რაზმისაგან, რომელსაც ოფიცერი გეგეჭკორი მეთაურობსო. დაუყონებლივ გავეშურე, გეგეჭკორის საძებნელად: დამებადა აზრი ამ ოფიცერის მეთაურობით მთელი მისი რაზმის წაყვანის შესახებ სოხუმისაკენ; მოვნახე სადღაც გაჩერებულ ვაგონში ოფიცერი ვ. გეგეჭკორი, რომელიც, როგორც კი აუხსენი საქმის გარემოება, დიდის ხალისით დასთანხმდა ჩემ წანადადებაზე, ამიხსნა წესი, როგორ მოვქცეულიყავი: საჭირო იყო გენ. გაბაშვილის ბრძანება, რომ ვ. გეგეჭკორი მისი შეიარაღებული რაზმით სოხუმისაკენ გამგზავრებულიყო; დაუყონებლივ შევასრულე ეს მოთხოვნილება, ის ბრძანებაც მივიღე, რომ ოფიცერი ვ. გეგეჭკორის რაზმისაგან ჩამორთმეული იარაღები ისევ მას დაბრუნებოდა, რადგანაც ის საბრძოლველად უნდა დაემზადოს. მეგონა საქმე ამით გათავდებოდა, თურმე არა ვითარ სამხედრო ბრძანებას მნიშვნელობა არ აქ, თუ პარტიის კაცი არ გწყალობს: თითქმის ყოველ დღე დავდიოდით ფოთიდან ხან მე და ხან ოფიცერი ვ. გეგეჭკორი მაგრამ ვერაფერი ვერ მოვაწყვეთ მუსაიფში, გაკვრით გამაგებინა ერთმა თანაგმრძნობელმა სოციალისტმა, რომ ოფიცერი ვ. გეგეჭკორი პარტიისათვის სანდო არ არის და იმას იარაღს არ ჩააბარებენო; ეს ოფიცერი ვ. გეგეჭკორი დიდ მხნეობას იჩენდა ტრაპიზონის მიდამოებში, ბათომშიაც უკანასკნელ წამამდე ომობდა, ეხლა ზღვის ნაპირის დამცველ რაზმის უფროსია. მას შემდეგ, რაც ვსცადეთ ყოველივე საშუალება კერძო რაზმის შესადგენად და ვერავითარ მიზანს—ვერ მივაღწიეთ, ისევ დეპეშებით თხოვნა-ვედრება დავიწყეთ მე და მღ. თუმანოვმა მთავრობასთან; რამდენიმე დეპეშა მივსწერეთ აკაკი ჩხენკელს. ბოლო დროს მოდიოდა ისეთი ხმები, რომ აბხაზებს დაეკარგათ იმედი ქართველებისაგან შველის და თათრებთან აპირებენ მოციქულების გაგზავნას ბოლშევიკებისაგან დასახსნელადო. ეს გარემოება შევატყობინეთ მთავრობას; დიდი წვალების და ლოდინის შემდეგ მოგვივიდა დეპეშა აკაკი ჩხენკელისაგან: „მოდიან სამტრედიაში ნოე ჟორდანია და ვალიკო ჯუღელი, მიდით ჯენერალ გაბაშვილის შტაბში და იქ მოილაპარაკეთ სოხუმის საქმეზედო". ორი დღის წინ ღენერალ მაზნიაშვილთან ვიყავით ლანჩხუთში და იმას ვსთხოვეთ დახმარება; ის დაგვპირდა: თუ გამანთავისუფლებენ ერთ რაზმს დაუყონებლივ გამოვგზავნი თქვენთანო. როცა აკაკი ჩხენკელისაგან დეპეშა მივიღეთ, იმავე დროს მაზნიაშვილის დეპეშაც მომივიდა, რომლითაც გვატყობინებდა, რომ დაგვემზადებინა ფოთში სოხუმისაკენ გასაგზავნ ჯარისათვის ყოველივე საშუალება, რაკი ფოთშიც მზადება იყო საჭირო, სამტრედიაში ნ. ჟორდანიასთან და გაბაშვილთან მოსალაპარაკებლად მღვდელი თუმანოვი და ჯოტო შარვაშიძე გავგზავნე და მე დავრჩი ფოთში რომ წინასწარ მოსამზადებელი საქმე მომეწყო ჯარის წასაყვანად ოჩამჩირეში. როცა თუმანოვი დაბრუნდა გამოირკვა, რომ ჯარის გამოგზავნა სამი ოთხი დღით კიდე დაგვიანდებოდა, რადგანაც ოჩამჩირეშიაც საჭირო იყო მზადება ჯარის გადმოსასხმელად და იქ მისაღებად მე და სოხუმიდგან მოსულმა რაზმმა გადავსწყვიტეთ წინ და წინ წავსულიყავით ოჩამჩირეში და იქ გვეცადა ჯარისათვის. ჩვენმა მისვლამ დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია ოჩამჩირელ ქართველ აბხაზთა შორის; ყველა ერთი მეორეს ულოცავდა: გვიშველა, ეხლა აღარ დავიღუპებითო, თურმე ბოლშევიკები დღითი დღე აპირებდნენ ოჩამჩირისაკენ გამოლაშქრებას.

ნ. თავდგირიძე.

## ეკლესია და რკინის გზის უწყება

ამას წინად სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქს საქართველოს სახაზინო რკინის გზის სამმართველოს საექიმო-სასანიტარო განყოფილებამ მიმართა წერილით რომელზედაც აღნიშნულია 1919 წლის 23 თიბათვის თარიღი, 3467 ნომერი, ქ. თბილისი.

წერილის შინაარსი მოგვყავს უცვლელად, მისი ორთოგრაფიით.

„სრულიად საქართველოს კათალიკოსს. სახაზინო რკინის გზის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილების შენობაში იმყოფება საყდარი. წირვალოცვის აღსრულების დროს ავადმყოფები **ძლიერ სწუხდებიან** *) და ამ ნიადაგზე ხშირია უკმაყოფილება და **საჩივრები**. სარწმუნოების თავისუფლების დაკანონების შემდეგ საყდარის, მეტადრე, იმ ალაგას ყოფნა, სადაც ის ამ ჟამად იმყოფება, **უხერხულად** უნდა ჩაითვალოს და ამიტომ საჭიროა მისი იქიდან **საჩქაროდ** გადატანა. ამასთანავე გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ საყდარი იჭერს **დიდ** შენობას და ამიტომ საავადმყოფოს ძლიერ ავიწროებს. გაუწყებთ რა ყველა ამას, პატივის ცემით გთხოვთ გასცეთ **საჩქარო** სათანადო განკარგულება, რათა დაცლილ იქნას შენობა. საყდრის ქონება უნდა ჩაბარებულ იქმნას თქვენგან დანიშნულ რწმუნებულისადმი"

ხელს აწერენ: „გზათა უფროსი ინჟენერი ა. კანდელაკი, საექიმო-სასანიტარო განყოფილების უფროსი № № (არ წაიკითხება) და საქმის მწარმოებელი ნ. გორგაძე".

მართალნი არიან ბ-ნი კანდელაკი და სხ. რომ მათ უწყებაში ავადმყოფებიც და კარგად მყოფნიც „ძლიერ სწუხდებიან", მაგრამ თუ რისგან,—კარგს ინებებდა ბ-ნი უფროსი უფრო დაახლოვებით გამოერკვია ეს საკითხი. მართლაც არამც თუ ხშირია, ძლიერაც ხშირია „უკმაყოფილება და საჩივრები", მაგრამ ღმერთზე და ეკლესიაზე კი არა, ბ-ნ კანდელაკის ბ-ნ მოხელეებზე. დიახაც „უხერხულად უნდა ჩაითვალოს" ეკლესიის არსებობა რკინის გზის საავადმყოფოში, მაგრამ „სარწმუნოების თავისუფლების გამო" კი არა, სხვა უფრო რეალურ მიზეზებით... ვთქვათ, თუმც იმიტომ, რომ ისეთ დაწესებულებას, როგორიც ეკლესიაა, და სარწმუნოების მსგავს სათუთ გრძნობებს იქ ადგილი არა აქვთ და თუ ვერ მოხერხდა „**მისი** იქიდან საჩქაროდ გადატანა", ჩვენ მორწმუნენი ვისურვებდით ბ-ნ კანდელაკის და მის ამალის **მისგან** გადატანას.

და რომ ეს ჩვენი სურვილი სრულიად სამართლიანია, ამას ჩინებულად გვისურათებს შემდეგი ფაქტი კანდელაკის სამეფოდან. ვინმე ნიკიფორე ნიკოლაშვილი 20 წელიწადი მსახურებდა რკინის გზის მთავარ სახელოსნოში და გადაიცვალა ამა წლის 2 თიბათვეს. დარჩა ცოლშვილი: 8 უბანი, ლიანდაგის ზემოდ, (სახლი დაბაჩკოვსკისა). ამდენი ხნის ნამსახური და ღრმად მორწმუნე ადამიანი რკინის გზის გამგეობამ ანდერძის აუგებლად და ყოველივე საეკლესიო წესის შეუსრულებლად ჩაუშვა სამარეში. გაჭირვებულმა ქვრივმა მიჰმართა რკინის გზის სამმართველოს, ის ჯამაგირი მაინც მომეცით, რომლის აღება ჩემმა ქმარმა ვერ მოასწროო. მართლაც ერგებოდა, მაგრამ მოთხოვეს სიკვდილის მოწმობა. რკინის გზის საავადმყოფომ 3 თიბათვის 3949 ნომრით მისცა მოწმობა, მაგრამ სამმართველო მას არ იღებს მღვდლის მეტრიკული ამონაწერი მოიტანეო. მღვდელი კი ამონაწერს ვერ აძლევს, რადგანაც ანდერძი არ აუგია, მეტრიკის წიგნში არ ჩაუწერია და, მაშასადამე, ვერც ამოსწერს არ—არსებულ აქტსა... საბრალო ქვრივი კი ამაოდ ჰქსელავს გზას რკინის გზის სამმართველოსა და საავადმყოფოს შორის.

ჩვენ არ ვიცით რა უპასუხა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა საექიმო-სასანიტარო განყოფილების უფროსს მხოლოდ მის განცხადებაში უფრო მეტი კადნიერებაა სანამ ეს მოსალოდნელი იყო.

ახელი.

*) კურსივი ყველგან ჩვენია.

## დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ივლისის 8-ს

### ინგლისური პრესა.

**დენიკინის საელჩო პარიზში.**

ოთხშაბათს ტულონში ჩამოვიდა და შაბათს პარიზში მოელიან რუსეთის საელჩოს, რომელიც ადმირალ კოლჩაკის ბრძანებით გენ. დენიკინმა გაგზავნა იმ მიზნით, რომ საფრანგეთის მთავრობას გააცნოს რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. საელჩოს შემადგენლობაში შედიან: გენ. დრაგომიროვი, დიპლომატიურ ნაწილის გამგე ნერატოვი, პოლიტიკურ ეკონომიის და საერთაშორისო უფლების მოსკოველი პროფესორი ასტროვი, გრაფინია პანინა, სოკოლოვი და სხ. და აგრეთვე 8 ოფიცერი და 2 ყაზახი. „პტი-პარიზიენ"-ის ცნობით საელჩოს მიზანია იმის გამორკვევა, თუ რის გაკეთება შეუძლია საფრანგეთს რუსეთისთვის და კოლჩაკისა და დენიკინის შორის უფრო მჭიდრო კავშირის შექმნა. რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა იქ სრული წესიერების აღდგენის იმედს იძლევა. რასაკვირველია გარკვევით ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება და ჩვენ უნდა მოველოდეთ როგორც გამარჯვებას, ისე დამარცხებას, მაგრამ თანდათან დენიკინ-კოლჩაკის ძალაუფლება მტკიცდება და დადგება დღე, როდესაც მას მთელი რუსეთი დაემორჩილება.

**გენ. ჰინდენბურგი.**

ჰინდენბურგმა თავის გადადგომის შესახებ პრეზიდენტ ებერტს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „საზავო ხელშეკრულების მოწერის შესახებ ჩემ თავს მოვალედ ვსთვლი შემდეგი განვაცხადო: 1916 წლის აგვისტოს 30-დან უმაღლეს მთავარსარდლობის ყველა განკარგულების და მოქმედების და აგრეთვე კაიზერის ყველა გადაწყვეტილებათა მთელი პასუხისმგებლობა მე მეკისრება რაც შეეხება ომის წარმოების საშუალებებს, ყველა განკარგულებები აღნიშნულ დღიდან ჩემი პირადი რჩევით და პასუხის მგებლობით იცემოდა. გთხოვთ ეს ჩემი განცხადება აუწყოთ გერმანიის ხალხს და მოკავშირეთა მთავრობას." ფელდმარშალ ჰინდენბურგს კოლბერგიდან ჰანოვერამდე მოგზაურობის დროს ხალხი ყველგან დიდ ოვაციებს უმართავ და. ჰანოვერის სადგურზე მას შეხვდა ქალაქის მოურავი, რამაც ჰინდენბურგი ძალიან ასიამოვნა და სამშობლო ქალაქის საჩუქრის (სახლის) გამო მადლობა გადაუხადა. ჰინდენბურგს აუარებელი ხალხი მიესალმა. თავის სახლთან ჰინდენბურგმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა: „თქვენ, ახალგაზრდებს გხვდათ წილად ეხლანდელ განადგურებულ გერმანიის აღდგენა. თქვენში მაინც სცოცხლობს გერმანული სული და თქვენ ეს უნდა შესძლოთ, რათა ჩვენმა მტრებმა კი არ შეგვიზიზღონ არამედ პატივისცემით მოგვეპყრან. ღვთის შეწევნით კვლავინდებურად დავიწყოთ ჩვენი მომავლის აღმშენებლობა.

**ბავარიის პარლამენტი.**

პარასკევს შესდგა ბავარიის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომა საზავო ხელშეკრულების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად. მთავრობის თავმჯდომარემ ჰოფმანმა განაცხადა, რომ მთავრობა მზადაა მიიღოს იგი და სთხოვა გამოსთქვან თავისი აზრი ერთხმად გადაწყვიტეს ბავარიის მთავრობის და პარლამენტის სახელით ბერლინში გაიგზავნოს რწმუნებული საზავო ხელშეკრულების დასამტკიცებლად.

**გაფიცვა ფლორენციაში.**

**მოსკოვი, ივლისის 7, ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.** დასაწყისი არ არის მიღებული. ფლორენციაში საერთო გაფიცვებია. ქუჩებში არეულობა მოხდა. იტალიის გაზეთები სწერენ, რომ ქალაქს რამოდენიმე მილიონის ზარალი მოუვიდა. ზოგან მღელვარებამ, რომელიც პირველად სიძვირის წინააღმდეგ იყო მიმართული რევოლიუციონურ-პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

**აჯანყება დიუსელდორფში**

**ბერლინი** ივლისის 30 დიუსელდორფში ისევ დაიწყო აჯანყება.

**იაკობშტატის მუშების გაფიცვა**

**ბელოსტროვი** ივლისის 4 ფინეთში იაკობშტატის ნავთსადგურის მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. მუშებმა გემის დატვირთვაზე უარი განაცხადეს. გემი შტრეიხბრეხერებს დაატვირთვინეს. გაფიცული მუშები დაითხოვეს.

**ჰალერის ჯარი.**

**ნაუენი.** ივლისის 6. მარშალ-ფოშმა გერმანიის მთავრობას მოსთხოვა, რომ ივნისის 23 შეწყვეტილი პოლონეთის ჯარის გადაყვანა ისევ განახლდეს. გერმანიის მთავრობამ უპასუხა, რომ რკინის გზელების გაფიცვების გამო შეუძლებელია.

**ჰააზეს სიტყვა.**

**ლიონი.** ივლისის 6. ერთ-ერთ მიტინგზე ჰააზემ სიტყვა წარმოსთქვა რომელშიაც განაცხადა, რომ ახლო მომავალში გერმანიაში ნამდვილი რევოლიუციონური მთავრობა შესდგება გერმანიის ეხლანდელი მთავრობის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ნოსკემ ჯერ გამოსცა ბძანება რკინის გზელთა გაფიცვების აკრძალვის შესახებ შემდეგ კი როდესაც მუშათა დეპუტატებმა განუცხადეს, რომ ეს ბრძანება მუშებს უფრო აღელვებს, გააუქმა.

**ბოლშევიკის გაქცევა.**

**ნაუენი** ივლისის 4. გერმანიის ბანკის მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე ემონსტი, რომელიც ბოლშევიკური იდეების ქადაგებისთვის დაიჭირეს გაიქცა. ძებნამ უშედეგოთ ჩაიარა.

**პატრიოტულ გრძნობის მსხვერპლი.**

**ნაუენი.** ივლისის 6. ცნობილმა სწავლულმა ადვოკატურის ისტორიის ავტორმა ადოლფ ვეისნერმა თავი მოიკლა, რადგან გერმანიის დამარცხების და დამცირების ატანა ვერ შესძლო.

**ფრანგ იტალიელთა შეტაკება.**

**ნაუენი.** ივლისის 4. ფიუმში იტალიელებს და ფრანგებს შორის შეტაკება მოხდა.

**გენ. დრაგომიროვი.**

**კიევი.** ივლისის 4. ხარკოვიდან გენერალი დრაგომიროვი მოქმედებს. ის ყაზახებს სარდლობს.

**დენიკინის დეზერტირები.**

**კურსკი.** ივლ. 4. კურსკის მაზრებიდან თავს იყრიან დიდ ძალი დეზერტირები. მოსულთა სულიერი განწყობილება აწეულია.

**იტალიელთა და ფრანგთა · კონფლიქტის გამო.**

იტალიელები ფრანგებს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი ფიუმეს ნავთსადგურს ბოროტად იყენებენ სამხრეთ-სლავების დასახმარებლად დიდძალ მასალის შემოსატანად. იტალიის გაზეთები აღნიშნავენ იმ უკიდურეს მეტოქეობას, რომელიც სამხრეთ-სლავიაში იტალიელებსა და ფრანგებს შორის განვითარდა.

**დემობილიზაცია იტალიაში.**

**პარიზი.** ივლისის 6. იტალიის სააგენტო იუწყება, რომ ნიტტის მთავრობამ ცენზურა გააუქმა და ჯარის დემობილიზაცია დაიწყო. ახლო მომავალში ამნისტიის დეკრეტს გამოაქვეყნებენ.

**ბავარიის კაბინეტი.**

**ნაუენი.** ივლისის 6. ბავარიის პარლამენტის კონსტიტუციის კომისიამ მიიღო რეზოლიუცია, რომ მინისტრთა კაბინეტი, როგორც ერთი კაცი წარმოადგენს აღმასრულებელ ძალაუფლებას და ქვეყნის წინაშე ერთად ერთია პასუხისმგებელი ამგვარად ბავარიის რესპუბლიკის სათავეში პრეზიდენტი არ იქნება.

**რიგაზე შეტევა.**

**ნაუენი.** ივლისის 4. ესტონელებმა რიგას დაუშინეს. ამერიკის მისიამ, რომელიც ლატვიაში იმყოფება გერმანიის ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად ამის გამო ენერგიული პროტესტი განაცხადა.

**თეთრ გვარდიელთა დამარცხება.**

**ბელოოსტროვი.** ივლისის 4. ფლორეციის ფრონტზე თეთრგვარდიელთა დამარცხების ამბავმა ფინეთის ბურჟუაზია ძალიან დაამწუხრა. გაზეთების ფურცლებს ეხლა აღარ ეტყობა აღფრთოვანება და აღნიშნავენ მხოლოდ, რომ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა ან კიდევ ამა თუ იმ ადგილზე ფინეთის ჯარმა უკან დაიხია.

**რუსეთის ტყვეები ვარნაში**

**ოდესა,** ივლისის 4. ბულგარეთიდან მოსული ცნობით საფრანგეთის სარდლობამ ვარნაში მყოფ რუსის სამხედრო ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა. ვარნაში საფრანგეთის სარდალმა ტყვეებს წინადადება მისცა გამგზავრებულიყვენ ნიკოროსისკში, მაგრამ ტყვეთა უმეტესმა ნაწილმა პროტესტი განაცხადა და მოითხოვეს რომ ისინი ოდესაში და ან სევასტოპოლში გაეგზავნათ.

**კოლჩაკის აღიარების საკითხი.**

**ოდესა** ივლისის 4. როსტოვის გაზეთები სწერენ საკითხი მოკავშირეების მიერ კოლჩაკის აღიარების ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის. პარიზის ოპოზიციონური წრეები კოლჩაკის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან. დენიკინმა მაკლაკოვის წერილი მიიღო. სადაც ნათქვამია, რომ კოლჩაკის სრულიად აღიარებას უმეტეს ნაწილად ხელს უშლიან ავქსენტიევი და კერენსკი. მაკლაკოვი დენიკინისაგან უფრო გაბედულ მოქმედებას მოითხოვს.

**სამხედრო ცნობა.** ივლისის 8. სამხრეთის ფრონტზე ჩვენ მილიორადოვკა და სიკროვკა დავსტოვეთ. ბორისოგლებსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი მტერს უტევს. ჩვენ 700 ტყვეზე მეტი წამოვიყვანეთ. უკრაინის ფრონტზე პროსკუროვის მიმართულებით ჩვენ ზაზულინო და გრანომცი დავიჭირეთ. ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენ სუხარევკა დავიჭირეთ. ჩვენ დევიაზე შეტევას განვაგრძობთ. დასავლეთის ფრონტზე ჩვენ ნარვასთან ვუტევთ. კრასნო სელოსთან ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ბალტიის რკინის გზის რაიონში ჩვენ კონოროვიცი, პრუდი და ლოტოსინცი დავიჭირეთ. მოწინააღმდეგემ ჟმერინკა დაიჭირა. ჩვენმა ჯარმა დაიჭირა პროსკუროვი. აღმოსავლეთის ფრონტზე, პერმის რაიონში ეკატერინის და ვოჟევის ქარხანა დავიჭირეთ. უფის რაიონში ჩვენ ბელორეცკოა დავიჭირეთ. ჩვენ მხარეზე კოლჩაკის ოფიცრობა გადმოდის.

**„კრასნაია არმია" დენიკინზე**

**კიევი,** ივლისის 4. ხარკოვის ჯარმა დენიკინის ბრბოს შემოტევა შეაჩერა. ბრბო დაჭერილ ადგილებში მკაცრად ეპყრობოდა მუშებს და გლეხებს. ამ ჟამად ხარკოვის და ეკატერინოსლავის დასაბრუნებლათ ბრძოლაა. ყველა წითელ ჯარში, ყველა თავის დასაცავათ.

**კოლჩაკის სიმკაცრე**

**სარაპული,** ივლისის 5. რამდენიმე წითელი ჯარი წინ მიიწევს, იმდენად უფრო მეტად აშკარა ხდება კოლჩაკელთა მიერ ჩადენილი სიმხეცე. მცხოვრებნი განადგურებულია. ხვრეტენ ქალებს და ბავშვებსაც. ქალებს ცოცხლათ ფლავენ მიწაში.

**ზარბაზნების ქარხნის აღება.**

**პერმი.** ივლის. 7. ავიღეთ მოტივილოვის ზარბაზნების ქარხანა, რომლის სავსებით ამუშავება შესაძლებელია. ქარხანაში ერთი მილიონ ფუთამდე ფოლადი არის. პერმში და მის ახლომახლო ხელთ ვიგდეთ: 100.000 ფუთი ხორბალი და ფქვილი, მილიონ ფუთამდე მარილი, ათასი ფუთი ერბო, ათასზე მეტი ვაგონი და 25 ორთქლმავალი. კოლჩაკის არმიაში რღვევაა. ჩვენ მხარეზე ორი პოლკი გადმოვიდა: ტყვეთ წამოვიყვანეთ სამი პოლკი თავისი თოფებით ტყვიისმფრქვეველებით და ზარბაზნებით.

## ესპანური ეპიდემია ქიზიყში.

საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ინფლუენციის ეპიდემიამ, რომელიც მძვინვარებდა 1918 წლის შემოდგომაზე და რომელმაც აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა არა მარტო სიღნაღის მაზრას. საშინელი სენი არაჩვეულებრივი სიძლიერით მოედო ქალაქსა და სოფლებს არ გამორჩა არც ერთი ოჯახი, სადაც თავისი კვალი არ დაეტოვებინოს და ერთ ხანად საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა თითქმის შეაჩერა, როდესაც მან თვის აპოგეას მიაღწია იმდენად დიდმნიშვნელოვანი იყო ეს მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, რომ არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიგვექცია და ასე თუ ისე არ გამოგვერკვია მისი უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მაგრამ რამდენადაც ღირს-შესანიშნავი იყო ეს მოვლენა, რამდენადაც საინტერესო და საჭირო იყო მისი ყოველმხრივი შესწავლა იმდენად ჩვენ, სამწუხაროდ, საშუალებას მოკლებულნი ვიყავით მიგვეხწია ამ უკანასკნელს.

ჩვენი განყოფილების მოქმედება მაშინ დაიწყო, როდესაც ეპიდემია უკვე

დაუძლურების პროცესს განიცდიდა და მთავარი მომენტები ეპიდემიის მსვლელობისა განვლილი იყო, რის გამო საშუალება აღარ გვქონდა სენის მსვლელობისათვის თვალყური გვედევნებინა. ვერც მაზრაში მომქმედი საექიმო პერსონალი დაგვეხმარებოდა ამ საქმეში: იმდენად მცირე იყო ეს უკანასკნელი, რომ მოთხოვნილების ერთ მესამედსაც ვერ აკმაყოფილებდა და ავადმყოფების ის ნაწილიც კი, სადაც საექიმო დახმარება აღწევდა, ისიც, უმეტეს შემთხვევაში, რეგისტრაციის გარეშე რჩებოდა. ასე რომ ჩვენ არა გზით არ შეგვეძლო გამოგვერკვია, თუ რანაირი იყო თვით მსვლელობა ინფლუენციისა, თუ რამდენად ხშირი იყო მასში სიკვდილის შემთხვევა და სხვა; და რაკი ავადმყოფობის პროცესს ვერა გზით ვერ მიუდექით, ჩვენ იძულებულნი ვიყავით ხელი ჩაგვეჭიდა სიკვდილის ფაქტისათვის, ეს აგვეღო გამოსავალ წერტილად და აქედან დაგვეწყო ჩვენი გამოკვლევა.

ერთად ერთ წყაროდ, საიდანაც შეიძლებოდა საჭირო ცნობების მიღება, გვეგულებოდა საეკლესიო დოკუმენტები. მეტრიკული წიგნის მესამე ნაწილში (გადაცვალებულთათვის) დათმობილია განსაკუთრებული გრაფა (მარჯვნით მეორე სვეტი), რომელშიაც აღინიშნება ხოლმე მიზეზი სიკვდილისა. თუმცა ეს უკანასკნელი არ არის შემოწმებული კომპეტენტური პირის მიერ და თვით აქტი სიკვდილისა არ არის შემდგარი იმ წესით, როგორც ეს საჭიროა და მიღებულია რაციონალურად მოწყობილ თანამედროვე სახელმწიფოებში, რომ ყოველგვარ ნაკლულევანების გარეშე იდგეს, მაგრამ ვინც იცნობს ჩვენს ცხოვრებას, დაგვეთანხმება, რომ ხსენებულ დოკუმენტების ღირება-ნაკლოვანებაზე ლაპარაკი ზედმეტი არის; უნდა გვესარგებლა იმით, რაც არსებობს, მაშინ, როდესაც არ არსებობს ის, რაც ჩვენ გვინდა.

მაინც, მიუხედავად ცნობების ზოგიერთ ნაკლულევანებისა, ჩვენმა ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და საერთო სურათი ეპიდემიის შედეგისა მაინც მივიღეთ (იხ. ცხრ. XII).

ცნობები შეეხება 1918 წლის მარიამთბისთვეს, ენკენისთვეს და ღვინობისთვეს; აღებულია გარდაცვალებულთა საერთო რაოდენობა ამ ხნის განმავლობაში და აქედან გამოყოფილია ინფლუენციით დახოცილთა რიცხვი. გარდა სქესობრივი დაყოფისა, ცნობები დანაწილებულია ჰასაკის მიხედვითაც, სამ კატეგორიად: 0—14 წლამდე, 16—40 წ. და 40 წ. ზევით გარდაცვალებულთა საერთო რაოდენობა სამი თვის განმავლობაში მთელ მაზრაზე უდრის 1891; აქედან ინფლუენციით მოკვდა ამავე დროს 1348 ადამიანი; პროცენტებით რომ გამოვხატოთ შემდეგს მივიღებთ: 71,3 პროც. დახოცილია ინფლუენციით, ხოლო 28,7 პროც.—არა ინფლუენციით (სხვა და სხვა მიზეზებით).

საყურადღებოა დანაწილება ინფლუენციის მსხვერპლისა წლოვანობის მიხედვით: როგორც სჩანს, ყველაზე მეტი დახოცილა ინფლუენციით შუა ხნის ხალხი (46,8 პროც.), შემდეგ ბავშვები (29,7 პროც.) და უფრო ნაკლები ხანში შესული ხალხი (23,5 პროც.) თუ რატომ იყო ასე, ამის ახსნას აქ არ გამოუდგებით, მხოლოდ ვიტყვით კი რომ ამ შემთხვევაში ჩვენი დასკვნა სინამდვილის სრული გამომხატველია და მას სივსებით ამართლებს, როგორც მცოდნე პირთა აზრი, ისე ჩვენი პირადი დაკვირვებანი.

აღსანიშნავია აგრეთვე პროპორცია მომაკვდაობისა სქესთა შორის: მაშინ, როდესაც არა ეპიდემიით (სხვა და სხვა მიზეზებით) მამაკაცი უფრო მეტი დახოცილა, ვიდრე დედაკაცი ინფლუენციის შედეგი, პირიქით, სხვანაირ სურათს იძლევა: აქ მომაკვდაობა დედაკაცებში თითქმის მეტია, ვიდრე მამაკაცებში 49,9 პროც. მამაკაცი 50,1 პროც. დედაკაცი). თუმცა აქ განსხვავება სრულებით უმნიშვნელოა, მაგრამ თუ დავაკვირდებით ცალცალკე სოფლების ჩვენებას ან რაიონების ჯამს—განსხვავება ზოგან საკმარისად დიდი აღმოჩნდება. ყოველ შემთხვევაში, თუნდაც რომ ეს განსხვავება არ მივიღოთ, ერთი რამ კი ფაქტად რჩება—რომ ინფლუენციით დახოცილთა რიცხვი ორივე სქესთა შორის უთანასწორდება ერთმანეთს და ესეც ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

აქვე არ შემიძლიან არ ავღნიშნო ჩემი ცნობების ერთი უარყოფითი მხარე, რომლითაც ხასიათდება ბევრი საანკეტო ფურცელი და რომელსაც თუმცა, არსებითი მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, არა აქვს: ჩვენი კორესპონდენტი მღვდლები არ იძლეოდნენ ხშირად სრულ ცნობებს; ბევრგან აშკარად ეტყობოდა რომ იმაზედ ნაკლები რიცხვი იყო ნაჩვენები, რაც ნამდვილად უნდა ყოფილიყო. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ იმდენად მძლავრი იყო ეპიდემია და მისგან მომაკვდაობა იმდენად ხშირი, რომ მღვდლები მკვდრების დამარხვას თუ უძლვებოდნენ, მათ დოკუმენტებში აღნიშვნას ვეღარ ასწრობდენ.

საერთოდ რომ ვსთქვად, ცნობები დამაკმაყოფილებელია; სისწორით არის დაცული პროპორცია, როგორც სქესთა შორი, ისე ჰასაკის ურთი ერთ დამოკიდებულებაში; ასე რომ, ჩვენგან მიღებულ სურათს, ყოველ შემთხვევაში, სინამდვილის დამახინჯებად მაინც ვერავინ ჩასთვლის.

დაბოლოს კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, არ გვქონდა საშუალება გამოგვერკვია პროცენტი მომაკვდაობისა ეპიდემიის დროს—რამდენად ხშირი იყო სიკვდილის შემთხვევა ინფლუენციით ავადმყოფთა შორის, რაიცა ფრიად საინტერესო იყო როგორც სტატისტიკის ისე სამკურნალო მეცნიერების თვალსაზრისით. ისე კი, რამდენადაც მნიშვნელობა აქვს კერძო დაკვირვებებს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინფლუენციას გაცილებით დიდი ზარალი მოსდევდა, ვიდრე, მაგალითად, პარტახტიან ტიფს, რომელმაც შესცვალა პირველი და ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში მძინვარებდა მაზრაში. პარტახტიანი ტიფის მომაკვდაობის პროცენტი, ჩვენი წინასწარი გამოანგარიშებით; ტრიალებს 3—9 და არსად არ აღემატება 10 პროცენტს.

მ. ყოჩიაშვილი.

# ტრფობა წამებული
(ისტორიული რომანი)
57.

ამით არ დაკმაყოფილდა მოწყალე მარჯვენა დიდებულისა. განაგრძო მან თვისი მზრუნველობა ბერთა სავანეზედ: მიიზიდა სხვა წარჩინებულნიც თუ მდიდარნი, შეაწირვინა. მალე უზრუნველყოფილ იქმნა მონასტერი, მამულით, სამონასტრო კაცით და შესაძლო შეიქმნა გაეშვენებინათ იგი, გაეფართოვებინათ, აელორძინებინათ. ეხლა მონასტერი არამც თუ გარდაიქმნა კეთილმოღვაწეთა სამყოფელად, შესძლო შექმნილიყო კერადაც მწიგნობრობისა. აყვავდა აქ სამღთო მეცნიერება, ითარგმნა და დაიწერა საეკლესიო წიგნები. ბევრი მოსავი ჰყვანდა ეხლა მონასტერს, მრავალი მოყვარული და ხელის ამპყრობელი. დაფანჩულს მაინც პირველი ადგილი ეჭირა. ამას ჰმოწმობდა ამ დიდებულთა საგვარეულო აკლდამაც, რომელი ყოველთვის ფაქიზად იყო ბერთაგან შეახული, სადაც მარად ენთო კანდელი უქრობელი. გაბრიელის განსაკუთრებით ღვაწლი თუ შენაწირავი ანუსხული იყო ვრცელ სიგელში რომელიც ინახებოდა მონასტრის სალაროში, ხოლო შემდეგში მოკლედ ამოჭრილ იქმნა თითონ გაბრიელის საფლავის ქვა ზედ.

დიდებულად აღიმართა უდაბნოში ხანთძის მონასტერი, დიდი სახელი გაითქვა მის მშენებელმა და უცვლელმა წინამძღვარმა გრიგოლმა. მაინც სრული არ იყო ბერთა ეს არე: მხოლოდ მამაკაცთა ღვაწლი ვერ ეყოფოდა ქართველთა ეკლესიას, ვერ შეავსებდა მის მოთხოვნილებებს. ცალმხრივი იყო ხანთძა, გვერდით არ ედგა დედათა სავანე. ქართველებს კი მოუდიოდათ მამრთა და მდედრთა თავდადება სამშობლოს სალონძინებლად, განსამტკიცებლად. ქალთაც გულს უთხრობდა მკვიდრად დაენერგათ ქართველთა შორის სჯული ქრისტესი, ბურჯად შესდგომოდნენ ქართულ ეკლესიას მასზედ მძლავრად მოსულ ისლამთან ბრძოლაში.

— რა ბრძოლაა, თუ მარტო მარჯვენა ხელით იბრძვი, მარცხენა კი უქმად მდებარობს?! კაცნი მარჯვენანი არიან ხალხისა, ქალნი მარცხენანი და მწყობრად უნდა ილვწოდნენ, შეთანხმებით, ამბობდა გაბრიელი.

და ფიქრობდა შეევსო ეს ნაკლიც: დაეარსებინა დედათა სავანეც. ამ ჰაზრს თანისთანობით, დაჟინებით აწვეთებდა მას და უძლიერებდა ღირსეული თებრონია, ნათესავი დაფანჩულისა. მონაზონობის მიღებისთანავე მკაცრად დაადგა იგი ზეცად სვლის გზასა. უარჰყო ყოველივე ქვეყნიური შვება სოფლისაგან უარყოფილმა; პირი შეაქცია სიხარულის ყვავილებს და არა იმისთვის, რომ არ უყვარდა იგინი, უკუაგდებდა მათ, არ ესმოდა მათი სილამაზე, ვერ გრძნობდა მათ მიმზიდველობას. არა! უარჰყოფდა მისთვის, რომ თვით ყვავილნი ცხოვრებისა დაიხურნენ მის წინ, მოდუნდნენ, ჩაჭკნენ, და ჩაიფურცლნენ.

— რად?! რისთვის?! განა მე ღირსი არ ვიყავი ქვეყნიურის კეთილისა ჩემ თანასწორებთან ერთად? განა ჩემი ქალობა არ დაატკბობდა ვაჟკაცის არსებას? ეს აკოკრებულ-აფუებულნი ძუძუნი არ არიან საგუბარნი ტკბილ ალერსისა და წყნარნი ცხოვრებისა ჩვილთათვის, ჩემ სისხლხორც ჩვილთათვის სანატრელთა?

— ახ! რად შეიზღუდა გული ჩემი მხოლოდ იმ ერთით? რად მიეპყრნენ დამდგარნი თვალნი ჩემნი მხოლოდ მას, ჩემს მასიცოცხლებელს, ჩემსავე მკვლელსა და არარად მქმნელს? რად რკალობდნენ მარმარილოს მკლავნი ეს ჩემნი მარტო მის მოსახვევნად, მხოლოდ მის ერთის მოსაჭდომ-მოსაშთობელად? უარმყო გულქვავმა, მასთან უარმყო მთელმა ცხოვრებამ, სიცოცხლემ ტკბილმა.

— არ შემითვისე, სულის დგმავ ჩემო მარად მტანჯველო! მაინც ვერ გასტეხო თებრონია შენი: დავწმედ ჩემს სიყვარულს, განვაშორებ მას ყოველსავე მიწიერ სიმძიმეს, გავძრცვი მას ყოვლისაგან ნივთიერის ბუნებისა და... და წამოვესწრაფები შენკენვე შენსავით ანგელოსთა სახით მოსილი. შენი გზა ჩემივე გზა არის, შენი სიცოცხლე ჩემივე სიცოცხლეა, შენი არსება ჩემივე არსებაა განუყოფელი. მე ან ორივავა ვარ შენი, გულცივო ჩემო, განუყრელად შენთან შერთული. აგყვები თან ამ ქვეყანად, იმ ქვეყანადაც სამარადისოდ. ერთ სახით ვერ ძალმედვა შენთან სიცოცხლე, სხვა სახით აგყვები, ვით აჩრდილი ხორცსხმული, შენის სურვილით ნივთიერად განსახებული. შენც ხომ მაფასებ, შენც ხომ გიყვარვარ, ვაჟკაცო ჩემო გაუტეხელო! შენის სულის ფსკერზედ მაინც ღივდება ჩემ გამო მდელო რამ სიხარულისა. მეტს გეტყვი: უჩემოდ გატყდება მაგ გზაზედ შენი ნებისყოფა რვალისა, შედრკება შენი რაინდობა სულიერი.

— განვედ ჩემგან, მაცთურო ტკბილო, განმეშორე მე!

— არა! ვერ განხავ ჩემს ბუმბერაზს ფერმიხდილს, მისუსტებულს, შენგან ტვირთულ უმძიმეს ჯვარის ქვეშ მოწამდინ დახრილს. შენთანა ვარ! განხმნევდი! განმამხნევე! სავანემც ჩემი შენის სავანის გვერდით! ჩემიმც სამარე შენის საფლავის ახლო! ჩემიმც სული შენ სულთან ტოლად წინაშე მეუფის ბრწყინვალე საყდრისა!

დაუცხრომელად ცდილობდა თებრონია ხანძთის მახლობლად აღმოცენებულიყო დედათა მონასტერი, მამათ სავანის მახლობლად გარდაშლილიყო განდეგილ დედათა საგომი, ღვთიურ სალვაწში მასთან შეჯიბრებულ შებრძოლებული. ორივ მონასტრის გუმბათი ერთმანეთის მმზერალნი, ერთმანეთს მიუკარებელნი. სავანეთა წინამძღვარნი მარად ერთმანეთის გამხედვარნი; შეუტოლებელნი; ერთმანეთის უარმყოფელნი, სიცოცხლის ჩამწარებელნი, ერთმანეთთან სამარადისოდ შემტკბარ-შეკავშირებულნი...

— გარნა, წმიდაო მამაო, მონახე სავანედ კეთილი ადგილი დედათათვისაც. მცნება იყოს ჩვენ შორის: თუ ნათესავისა ჩემისა მოწესე მამაკაცი იყოს, სამკვიდრებელად მისსა ხანთძაი განეწესოს; თუ ნათესავისა ჩემისა მეწესე დედაკაცი იყოს, დაემკვიდროს შენ მიერ კურთხეული დედათა სავანეში! ხოლო პირველი წინამძღვარი განდეგილთა დედათა ქრისტეს მიერ დაი ჩვენი თებრონია, ეტყოდა გაბრიელ დაფანჩული გრიგოლს.

არ ეწინააღმდეგა წმიდანი დიდებულის სურვილს. ზეცად მიმავალი ბილიკი მაინც იმ სიფართოვე არის, რომ შეუძლიანთ მასზედ ტოლად მიისწრაფებოდნენ დედანი და მამანი. კურთხევა მათი ერსა ზედა ჩვენსა! ზრუნვა მათი სამშობლოზედ ბუნებრივია და სასიკეთო. სამშობლო ცაზედ დედანიც ბრწყინავენ უქრობ ვარსკვლავად, ვით მამანი ღვაწლ შემოსილნი. სიახლე თებრონიასი უძლეველ ჰყოფდა ლომგულ ვაჟკაცს ეკლიან გზაზედ საფრთხეთა მიერ სავსებით სავსეზედ. განამხნევებდა მას სულიერად, უძლეველ ჰყოფდა მის ზესთაბუნებას.

ნეტარმან გრიგოლმა ძიება ჰყო გულმოდგინედ და ჰპოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობლად, ჯვარი გადასწერა და აღაშენეს მონასტერი დედათაი. ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედა თებრონია დაემკვიდრა მერესა შინა. და ღირსად ცხოვრებისა და სულიერად განგებისა მისისაც არა იყო საზღვარი და სამღთოითა სიყვარულითა წმიდითა ერთმზრახველნი და მეგობარ იყვნეს ფრიად ნეტარნი ესე ღვთის კაცნი, დედაი თებრონია და მამაი გრიგოლ.

განმტკიცდნენ არტანუჯის ციხექალაქის არეში, ქართველთა მოღვაწების სავანეებში, მამათა და დედათა მონასტრები ესე ციხე-ქალაქი და მონასტრები უძლიერესი ბურჯები შეიქმნენ საქართველოსი, მისი სიმტკიცენი, მცველნი და მფარველნი მისის სჯულისა თუ ზნეობისა, მისივე სულიერის განვითარებისა; მის ლამაზ არსებობისა.

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთის ამბები
## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ფინეთი და საბჭოთა რუსეთი.**

ფინეთის მთავრობამ უპასუხოდ დასტოვა ჩიჩერინის ნოტა, რაშიაც იგი პროტესტს აცხადებდა იმის წინააღმდეგ, რომ ოლონეცის ბრძოლაში ბოლშევიკების მტრებთან ერთად ფინეთის რეგულიარი ჯარიც იბრძოდა. თავის მხრით ფინეთის მთავრობამაც პროტესტი განაცხადა, პეტროგრადში ფინეთის ეკონომიურ კომიტეტის წევრთა დატუსაღებისათვის.

**გერმანიის რუსოფილობა.**

როგორც კონსერვატიულ, ისე სოციალისტურ წრეებში, გერმანიაში დიდი პროპაგანდა სწარმოებს რუსეთთან პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირის შესაქმნელად.

ეროვნულ ყრილობის კომიტეტმა, ამ საკითხზე ერთსულოვანი დასტური დასცა. „უპირველეს ყოვლისა საჭიროდ იცნეს ეკონომიური კითხვების მოწესრიგება. ყველა ორატორი აღნიშნავდა რომ საბჭოთა რუსეთთან შეთანხმება უსაცილოდ საჭიროაო".

„ჩვენ, რასაკვირველია, არ გვსურს ძმად გაფიცვა ბოლშევიზმთან" სწერს „ფორვერტსი"—„მაგრამ ისეთ ძმური კავშირის შექმნა, რომელიც ორივეს ეკონომიურ ცხოვრებას გააუმჯობესებდა ჩვენ მიზანს შეადგენს".

**ავღან-ინდოთა ომი**

რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ემირმა ზავი სთხოვა ინდოთ მთავრობას. ინდოეთის მთავრობამ მას შემდეგი საზავო პირობები წარუდგინა: 1) ავღანიის ჯარმა 20 ეჯით (მილი) უნდა დაიხიოს ინდოეთის საზღვრებიდან, 2) ინდოეთის საზღვრები კი არ უნდა იყოს შეცვლილი, 3) საჰაერო რაზმს უფლება უნდა მიეცეს მოახდინოს ავღანიის ჯარების დაზვერვა, 4) ავღანებმა უნდა აიძულონ თავისი ტომები, რათა მათ საზღვარზე სამხედრო მოქმედება შესწყვიტონ.

**აღელვება ამერიკაში.**

8 ქალაქში ერთსა და იმავე დროს ჩამოყარეს ანარქისტებმა ყუმბარები. მთავრობას ჰგონია, რომ ეს ორგანიზაციულად მოწყობილი ანარქიული მოძრაობაა, რომელსაც მიზნად აქვს მთავრობის ჩამოგდება. პროკლამაციებში ნათქვამია, რომ კლასთა ბრძოლა დაწყებულია კიდეც და უეჭველად პროლეტარიატის გამარჯვებით დასრულდებაო.

**ციმბირის ქაღალდის ფული.**

1918 წლ. გიორგობისათვის ქაღალდის ფულის თანხა ციმბირში უდრიდა 96 მილიონ მანეთს, პირველ იანვრისათვის [1919 წ.) ეს თანხა 201 მილიონამდე ავიდა, პირველ თებერვალს 240 მილიონს უდრიდა, ხოლო მარტის 4-ს კი 717 მილიონ მანეთს აალწია. ამ ფულს თავის საფასურად იღებენ ჩინეთში და იაპონიაში.

**კოლჩაკისა და დენიკის კავშირი.**

ცარიცინის აღების შემდეგ დენიკინის ჯარს ხელში ჩაუვარდა ბოლშევიკების მშვენიერი რადიოსადგური. სადგური იმდენად დიდია, რომ ადვილად შეიძლება შეკეთების შემდეგ ეიფელის კოშკის სადგურთან იქონიოს კავშირი. რადიოსადგურით შეიძლება ლაპარაკი სრულიად რუსეთთან და ამის შემდეგ, ესე იგი, დენიკინს შეძლება მიეცა კოლჩაკთანაც იქონიოს ერთგვარი კავშირი. როგორც გაზეთები იტყობინებიან, კოლჩაკს რამდენიმე რადიო დეპეშა მიუღია კიდეც.

# მევენახეთა კონგრესი.
**შემადგენლობა**

მომავალ მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტში შედიან: სამი წარმომადგენელი კახელ მევენახეთა კოოპერატიულ საზოგადოება „კახეთი"-სა, სამი წარმომადგენელი კოოპერატიულ მევენახე „კავშირთ-კავშირისა", ერთი წარმომადგენელი მიწად მოქმედების სამინისტრს სამეურნო განყოფილებიდან, თითო თითო წარმომადგენელი თელავისა და სიღნაღის მაზრის კოოპერატიულ კავშირებისაგან, თითო თითო ქუთაისის, შორაპნის, ლეჩხუმის, რაჭის, სენაკის, ოზურგეთის, ზუგდიდის მაზრებიდან, თითო თითო ბათომის და სოხუმის ოლქებიდან, ერთი წარმომადგენელი ქართულ სამეურნო საზოგადოებიდან და თითო ქუთაისის და თბილისის მევენახეობის საგუბერნიო კომიტეტიდან.

**ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარესთან**

კონგრესის რწმუნებული ქუთაისის მევენახეობის და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტის მთავარი სპეციალისტი ბ. ბერეკაშვილი წარუდგა მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ნ. ნ. ჟორდანიას და მოახსენა საქართველოს რესპუბლიკის მევენახეთა და მეღვინეთა კონგრესის მოწვევის შესახებ, რომელსაც იწვევს საზოგადოება „კახეთი". ბ-ნ ჟორდანიამ გულდასმით მოისმინა მთელი მოხსენება ბ. ბერეკაშვილისა, გაეცნო პროგრამას და დებულებას კონგრესისას და პროგრამაში თითონ შეიტანა ფრიად საყურადღებო მუხლი, რომელიც უნდა განიხილოს კონგრესმა, სახელდობრ „აგრარული რეფორმა და მისი მოსალოდნელი გავლენა მევენახეობაზე და მეღვინეობაზე". ბ-ნ ჟორდანიამ დიდათ მოიწონა ინიციატივა საზ. „კახეთისა" და მომავალ კონგრესს უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და თან შემდეგი რეზოლიუცია მისცა მოხსენებას: „ღირსია ყურადღების და ხელის შეწყობის".

**ბ-ნ მიწად-მოქმედების მინისტრთან**

ამავე მოხსენებით კონგრესის მომწვევ კომიტეტის თავმჯდომარე ბ—ნი ი. დ. ფორაქიშვილი და მდივანი ამავე კომიტეტის ბ. ბერეკაშვილი წარუდგნენ ბ-ნ მიწათ მოქმედების და გზათა მინისტრ ბ. ხომერიკს და მოახსენეს მთელი წყება საგულისხმო საკითხებისა და გააცნეს კონგრესის პროგრამა და დებულება. ბ. მინისტრმა დიდათ მოიწონა განზრახვა და განცხადებას: მისცა შემდეგი რეზოლიუცია. „ფრიად სიმპატიური საქმეა და ვავალებ სასოფლო მეურნეობის განყოფილებას ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს ინიციატორებს თავისი სპეციალისტებით და საჭირო სტატისტიკური მასალებით". ბ. მინისტრმა აღუთქვა დახმარება მომავალ კონგრესის წევრებს. რკინის გზაზე მოგზაურობა შეღავათიან პირობებში, ამასთანავე როცა კონგრესის წევრნი ეკსკურსიათ დააპირებენ სახელმწიფო ნაციონალურ მამულების დათვალიერებას ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინებათ.

# კორესპონდენცია

**თერჯოლის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა) ისედაც დიდ გაჭირვებაში მყოფ გლეხობას წელს დამშევა მოელის. ჯერ იყო და ხანგრძლივმა წვიმებმა ისე გააფუჭა და გააყვითლა სიმინდები და ვაზები, რომ მის შემყურე გლეხს თვალზე ცრემლი მოსდის, მერე უცაბედურ სიცხეებმა ყანებში მდგარი წყალი, გაათბო, და სიმინდებიც მოსუსხა. ვაზებმა მგონი ვერც გაისად ივარგოს. როგორც სიმინდის ისე ღვინის მოსავალი წელს ძლიერ ნაკლები იქნება და თუ დღეს ღვინო ფასობს 2000 2500 მან. გაისად 5000 მანეთსაცა აღწევს. სიმინდი კი საზღაპროდ გაძვირდება. და ან ვის ექნება გასასყიდი? საჭიროა ზომების მიღება თავიდანვე, რომ საქართველოს მიწა-წყლიდან არ იქმნეს გატანილი სურსათი სხვაგან, როგორც ეს შარშან მოხდა თერჯოლის საზოგადოებაში არსებობს, მრავალი სკოლა, კოოპერატივები, სამკითხველო, აფთიაქი. არსებობს აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროები და კომიტეტები, მაგალითად სოფ. სიქთარუის ბიურო და სოფ. თერჯოლის ბიურო, კომიტეტები: ს. ღვანკითის, მწუხარულის და ტელეფის. არსებობდა აქ სოც.-ფედერალისტების და ეროვნული პარტიის ბიუროებიც, მაგრამ სული დალიეს გლეხებმა სამხების ამოყრა არ მოისურვეს, ფედერალისტებმა ისინი ვერ მიიმხრეს და მიხურეს ბიურო. წელს მათ ბიუროში საჩი ურემი თივა ეყარა. ეროვნული პარტიის ბიუროსაც ასეთი ბედი ეწვია. სოციალისტებს ამ საზოგადოებაში ძალა ეკარგება, გლეხები რწმუნდებიან იმაში, რომ სოციალისტები ვერ გაუძლვებიან მათ და გადმოდიან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. უმიწო გლეხები, რომელნიც მათგან [illegible] აშენებას მოჰყოლოდა [illegible] დათ. და [illegible] რები და იმედების გაცრუება.

ვ. გუთნურისპირელი.

# თბილისის ბირჟა
7 მკათათვე.

ბირჟას მცირე ცვლილება ემჩნევა. ნიკოლოზის 100 მანეთიანებს ჰყიდნენ 300 მანეთად, 500 მანეთიანებს—1550—1600 მან., პატარა კუპონების გაყიდვა ბირჟაზე არ სწარმოებდა.

1000 მანეთიანი „კერენკები" იყიდებოდა 1500 მანეთად, 250 მანეთიანები—35—40 პროც. დამატებით, 40 და 20 მანეთიანებში კი 15 პროცენტით.

საზღვარ გარეთის ვალიუტას მოთხოვნილება სუსტი იყო, ერთ გირვანქა სტერლინგში (ბანკნოტი) იძლეოდნენ —480 მან., ჩეკებში კი—430 მან. ფრანგული ფრანკები იყიდებოდნენ: ბანკნოტები—21—22 მანეთად, ჩეკები კი—16—18 მან.

ოსმალოს ოქროს ლირები ტრიალებდა 370 მან., ქაღალდის ლირები კი 85 მანეთად.

პროცენტის მომტანი ფასიანი ქაღალდების მოთხოვნილება გრძელდება. ფასები კიდევ აწეულია. 4 პროცენტის მომტანი რენტა იყიდება 180 მანეთზე არა ნაკლებ, 5 პროცენტის მომტანი 1915 წლის შინაგან სესხის ფასიანი ქაღალდები—120 მან., 5 ნახ. პროცენტ მომტანი ამის სესხისა—115 მან., თავისუფლების სესხისა—75 მ. თბილისის საქალაქო საკრედიტო ამხანაგობის ობლიგაციები—105 მან.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკებში ოპერაციები დაიწყო, ჩეკების გაცვლაში ბევრს თხოულობენ. (30 პროც.)

# ნარევი.

**უნგრელი მილიონები.**

უნგრელ ოფიცერთა ჯგუფის მიერ ვენაში უნგრეთის სალჩის ხელში ჩაგდების დროს სალჩიდან გატანილი იყო იქ შენახული 150 მილიონი კრონი. ეს ჯამი ხუთი პირის ჩვენებით, რომელნიც შეიპყრეს როგორც ამ საქმის მონაწილენი, დაცულია უშიშარ ადგილას უნგრეთის მომავალ კანონიერ მთავრობისათვის გადასაცემად.

დაპატიმრებულებმა უარი განაცხადეს ფულის ჩვენებაზე, მხოლოდ განაცხადეს კი, რომ იგი ფული არ იქნება მოხმარებული სხვა მიზნებისათვის.

ბუდაპეშტური საბჭოთა რადიოტელეგრამა უნგრეთის სალჩოზე თავდასხმული ორგანიზაციის მოწყობაში გრაფ ბატიანს მარგრაფ [illegible] და უნგრეთის [illegible] ასახელებს. ავსტრიის პოლიციამ შეიპყრო კიდევ ზოგიერთი მონაწილენი სალჩოზე თავდასხმისა და გაძიებას აწარმოებს. ბრალდებულთა შორის არიან: ფრანცისკანელთა მონასტრის წინამძღვარი და ერთი ინგლისელი ჟურნალისტი.

**ბინის საკითხი ინგლისში**

შრომის მინისტრმა აცნობა შოტლანდიის საბჭოთა დეპუტატებს, რომ ლლოიდ-ჯორჯი პარიზიდან დაბრუნებისას დაჟინებით მოითხოვს რათა ადგილობრივ მმართველობათ დაუჩქარონ საბინაო პროექტებს.

გორონმა შეიხო რა უმუშევრობას, განაცხადა, ბინების აგება ახლა ისე საჭიროა, როგორც 1915 წელს ტყვია ყუმბარების დამზადება.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, ელენთა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის— ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისთვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
**[illegible]**
იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფებს იღებს დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ"-ის პირდაპირ. ტელეფონი 14—28.